



X V. სასოფელკვირთაო გაზეთი. X V.

№ 2. კვირა, 6 იანვარი 1902 წ. № 2.

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი - სამი შაური.
სულის მოწყობის მიხედვით: თფილისში - წერა. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში - თფილისში № 12. ტელეფონი № 734.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „КВАЛИ“.

შინაარსი: უცხოეთი გასულ წელს. - შინაური მიმოხილვა. - სხვა-დასხვა ამბები. - კორესპონდენციები. - ახალწლის ღამეს, ღმერთი ეკლესიისა. - სამწუხარო შედეგი, რომანი ე. ნინოშვილისა. - წერილი პარიჟიდან, N-სა. - სიტუაციაზე მწერლობა 1901 წ., ი. გომართელისა. - რუსეთი 1901 წელს - სამშობლოს ცაზე, რეგულაციისა. - სახელმწიფო ხარჯთა-აღრიცხვა - წერილი რედაქციის მიმართ, გრ. ელიავასი. - ქართული თეატრი. - შეცდომის გასწორება. - განცხადებანი

საზოგადოებრივი, სასაზოგადოებრივი და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი

„**ს ა ლ ი**“
(წელიწადი მუდმივად)

გამოვა 1902 წელსაც ყოველ კვირა დღეს, ერთიდან სამ თაბახამდე.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენი) მათი ბიოგრაფიებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართველ მოღვაწეებს.

გაზეთი წლიურად ღირს თფილისში 7 მან., თფილისის გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისის გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან., თითო ნომერი სამი შაური, ადრესის გამოცვლა თფილისის გარეთ ღირს ორი აბაზი.

სულის მოწყობას შეეძლება წლის ფული ნაწილად ნაწილად შეიკრას.

ხელის მოწყობის მიხედვით: თფილისში, წერა. კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავადაზნაურო ქარვასლა), თფილისის გზის სადგურზე პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტი-შვილიან და თვით „კვალის“ რედაქციაში, თეატრის ქუჩა, № 12.

ქუთაისში: მიტროპოლიტის კანცელარიაში და ვ. ბუკაჩიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და ახალბო უფასო საპოლიტიკოში; ოზურგეთში და ახალ სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში; ჭიათურაში კალასტრატე ჭიანჭყაძის და გერასიმე ბერიძის; ყვირილაში ივანე არდიშვილის და ბაბა ნონა - სახალხო საპოლიტიკოში. ქველ-სენაკში - არსენ ალიძის; ოზურგეთში - დომენტი შავიშვილიან. საბუნჩაში - დიმიტრი მელაძისთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакция „КВАЛИ“.

უცხოეთი გასულ წელს.

შეიძლება, სხვაში კიდევ გამოიჩინა რამე ორიგინალი გასულმა წელმა, მაგრამ ევროპის, და საზოგადოებრივი პოლიტიკაში, იგი ნამდვილი გაგრძელება იყო უდიდესი საუკუნის უკანასკნელი წლებისა და მისი უახლოესი წინამორბედის, 1901 წ. უმძლავრეს ხარის-

ხამდე განვითარებული კაპიტალისტური წარმოება ვეღარ ეტყვა შინ, თავის სახელმწიფო საზღვრებში, და წინანდელზე უფრო თავგამეტებით ეძებს ახალ ბაზარს. ეს არის თანამედროვე ბურჟუაზიის საოცნებო საგანი და ამის დაკმაყოფილებას ცდილობს ყველა ქვეყნის მთავრობა, რომელიც ყველგან ამ გაბატონებული კლასის ხელშია. წინეთ თუ ამ ნიადაგზე აღმოცენებული ქიშობა უმთავრესათ ახლო აღმოსავლეთის საქმის გარეშე მოტრიალებდა, რომელიც ასე თუ ისე ეკონომიური «გავლენისათვის» უკვე განაწილებულია, ახლა შორ აღმოსავლეთზე მიიტანეს იერიში განათლებულმა სახელმწიფოებმა და ნიშანში ამოიღეს ჩინეთის იმპერია, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში თავისი შესანიშნავი კედლით იყო მოწყვეტილი ევროპის «კულტურის» გავლენას. არც საკვირველია. ექვსას მილიონიანი ჩამორჩენილი სახელმწიფო მეტათ გემრიელ ლუკმას წარმოადგენს ევროპის მალა-განვითარებული ბურჟუაზიისათვის. რასაკვირველია, ევროპის ერთბაშათ არ მიუტანია იერიში ჩინეთზე. გასული საუკუნის უკანასკნელ ათწლებში ნელ ნელა იკიდებდა იგი ფეხს იქ; ჩვეულებრივად, სახარებითა და ჯვრით წინ წამძვარებული, დაიწყეს დაბანაკება იმპერიაში და ბოლოს მისი მიზნები იმდენათ თვალსაჩინო შეიქნა, რომ ჩინელებმაც კი დაიანახეს, რასაც მოყვა 1900 წლის ამბოხება ევროპელთა წინააღმდეგ პატრიოტული «დიდი მუშტის» მეთაურობით. ეს მოძრაობა სძლია ევროპის სახელმწიფოთა შეერთებულმა კონცერტმა „ძმური“ შეთანხმებული მოქმედებით და საკმაოდ დიდი, ჩინეთის მოუწყობელი ფინანსებისთვის კი უძლეველი, კონტრიბუცია დაადო. ჩინეთის ამბებმა აშკარათ დაგვანახეს და დაგვიმტკიცეს, რომ კაპიტალიზმმა სამშობლო არ იცის, არც ეროვნული სიმპატია-ანტიპათიები და ერთი მთავარსარდლის გამგებლობით იბრძოდნენ ფრანგები და გერმანელები, რუსები და ინგლისელები და სხვ. აქ არც ფრანგებს გახსენებიათ რევანში და არც რუს-ინგლისელებს ინდო-


ეთ-ოსმალეთი. ყველა სახელმწიფოთა ბურჟუაზიის ინტერესები მხოლოდ იმას თხოულობდნენ, რომ როგორმე მაგრათ მოეკიდებიათ ფეხი ჩინეთში და მის ზღვებში და მიახწიეს კიდევ მიზანს. რასაკვირველია, ყველა ერთნაირად დაკმაყოფილებული ვერ დაბრუნდებოდა და კონცერტის წევრებმა მეტ-ნაკლებათ მოითბეს ხელი, ყველაზე გემრიელი ლუკმა კი რუსეთს ერგო (მანჯურია), რასაც ხელი შეუწყო უმაჯორეთ ინგლისის აფრიკის საქმეში ჩაბმამ მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია ჩინეთის კითხვისა. თუ კაპიტალი შინ ავითარებს თავის შთამქმელ პირობებს, ასეთივე შედეგი მოყვება მის მსვლელობას უცხოეთშიც. ამის მაგალითს წარმოადგენს ამერიკის შტატები და დღევანდელი ინგლისის კოლონიებიც, რომელნიც სწორეთ რომ ბრძანებლობენ თავის მეტროპოლიას. ჩინეთიც, ევროპის კულტურით შეიარაღებული, ერთ დიდ თავსატეხ და სახიუათო კითხვას უმზადებს ევროპას. იგი იძულებულია თავის დასაცავათ და მადა აშლილ ძალათ მაცხოვნეთა მოსაგერებლათ ისევ ევროპის კულტურას მიმართოს. ამ გავეროპიელების მომხრეთა დასი დღესაც საკმაოთ მრავალ რიცხვოვანია ჩინეთში და მომავალი ხამ უცილობლათ მისია და მაშინ ვნახეთ, თუ ჩვენ არა, ჩვენი შემდეგნი, როგორ გაუმკლავდებიან ერთ კანიანი ყვეთელ კანიანს. მართალია, ესეც ევროპის კულტურის გამარჯვება იქნება — ჩინეთი გავეროპიელდება, მაგრამ ყოველი ასეთი გამარჯვება თანდათან დაუახლოვებს საზოგადოთ კაპიტალისტურ წყობილებას მის უმწვერვალეს განვითარების ხარისხს და მით თავის თავის უარყოფსაც. დღევანდელი ჩამორჩენილი ერები მეტათ საიმედოთ თავმესაფარს წარმოადგენენ ევროპის კაპიტალისტისთვის და რამდენათაც მათი სივრცე შემოკრდება, იმდენათ უკანასკნელის ანტაგონისტი დაუახლოვდება თავის მიზანს... მაგრამ ყოველივე ეს მომავლის საქმეა და დღეს ასე თუ ისე ჩინეთის საქმედროებით მაინც მიწყნარებულია.

არ ეშველა არაფერი ძღვეამოსილი იმპერიის პატარა რესპუბლიკების მოსასობლათ გამოწყებული ომის დამთავრებას. 27 თვეა ინგლისი განუწყვეტლივ გზავნის ჯარებს ტრანსვალში, ყოველ დღე რამდენიმე მილიონ ხარჯს ეწევა, და მისი მთავრობის მიერ, წელიწადზე მეტია, დამორჩილებულათ გამოცხადებული ბურების მამაცი ერი ჯერ კიდევ უძლეველია და არა ერთ და ორ ინგლისელს უთხრის სამარეს. ოქროს მადნების შექმნის სურვილით გატაცებული ჯინგოისტები და მათი მეთაური ჩემბერლენი არაფერს შურავენ ბურების შესამუსრავათ, მაგრამ ბურები არც კი ფიქრობენ დამორჩილებაზე, პირიქით, თვით უწერენ ინგლისს ზავის პირობებს. ომი ჩვეულებრივი ცვალებადობით მიმდინარეობს, ხოლო ინგლისის ფინანსები გამუდმებით სუსტდება, და საზოგადოებაც თანდათან კარგავს მოთმინებას; იზრდება ტრანსვალის ომის დაბოლოების მსურველთა რიცხვი, ემატება პრობურებსაც, როგორც იმპერიალისტებმა ბურების თანამგრძობელნი და შემბრალენი მონათლეს და უფრო და უფრო თავამათ გაისმის ინგლისში ოპოზიციის ხმა, რომელიც ომის დასაწყისში სადღაც მიიძალა და კრინტის დაძვრასაც ვერ ბედავდა მთავრობის წინააღმდეგ. ყველა ამ გარემოებათა მიხედვით მოსალოდნელი ხდება, რომ თვით ინგლისის ერი შექმნებს ამ ამარცხვინო ომის

სასახელოთ დამთავრებას, ისე რომ არც ინგლისი გამოვიდეს სახელგატეხილი და ბურებსაც მათი გამარჯვებას და თავგანწირულების შესაფერი ცხოვრების პირობები მიეცეს.

სხვა საერთაშორისო კითხვათა შორის განსაკუთრებული ყურადღება მაიქცია გერმანიის ახალმა სადამოყენო ტარიფმა და მასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებათ ბედ-იღბალმა. ამ კითხვით მეტათ დაინტერესებული იყვენ, როგორც გერმანიის მკვიდრი, ისე მისი მეზობელი სახელმწიფოები, რომელნიც ეკონომიურათ დაკავშირებული არიან ამ სახელმწიფოსთან, და მისი ასე თუ ისე გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ექნება გერმანიის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. დღეს გერმანია უმთავრესა კაპიტალისტური მრეწველობის ქვეყანაა და მისი სასოფლო მეურნეობა თანდათან კარგავს მნიშვნელობას; თვით ერის გამოსაკვებათაც კი გარედან შემოტანილი პური ჭირდება; მისი კაპიტალი კი იმდენათ ძლიერია, მისი მრეწველობა იმდენათ განვითარებული, რომ ინგლისიც ბევრ ადვილას დაამარცხა და საკონცენტში ჩააგდო. გარემოებათა მიხედვით თავის პოლიტიკაში გერმანია უმთავრესათ იცავდა და იცავს ბურჟუაზიის ინტერესებს მთავრობაც ძალიან დაუახლოვდა ამ კლასს და სასახლოთ ახალ კურსზედაც კი შეიქნა ლაპარაკი, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ საკმაოთ ძლიერია ამ მიწათ-მფლობელთა კლასი, იუკრები. მათ ძლიერებას ხელს უწყობს გერმანიის კონცერტულია, განსაკუთრებით პრუსიისა, და არა ერთზე აგრძნობინეს მართებლობას, რომ მათი ინტერესების დავიწყება მათ ტახტის ერთგულებაზეც ააღებინე ხელს. ხოლო იუნკერთა ინტერესი კი რასაკვერელ ომის მოთხოვნს, რომ სასოფლო მეურნეობის ნაწარმოები რაც შეიძლება ძვირი იყოს, უცხოეთიდან შემოტანილი პური კი ამ ფასებს სცემს და ამიტომ საჭირო შეიქმნა ხლოვენური ზომებით აგრარების ინტერესების დაცვა ე. ი. ბაჟების აწევა. და აი ამ მიზნით რედგინა რეისტრებს სადამოყენო ტარიფის პროექტი. მელიც ერთხელ უკვე წაიკითხეს და მალე კანონათ უმცირესს, მიუხედავთ იმისა, რომ პარლამენტს ფურგანებით მოდიოდა პეტაციები ამ პროექტის წინააღმდეგ. პროექტის კითხვაში ყველაზე მეტათ ჩვენი სახელმწიფო არის დაინტერესებული, რომელსაც შეაქვს თავისი მურნეობის ნაწარმოები გერმანიაში და ნაცვლათ ფარობაზარს აძლევს მის საფაბრიკო საქარხნო ნაწარმოადიდებული ბაჟი კი, ერთი მხრით, ამ საქონლის მრეწველ ხალხს დააწევა, და ამ მხრით რუსეთი ზალობს. მოსალოდნელი იყო და ფინანსთა მინისტრ არმა დაბეჯითებით დაგვარწმუნა, რომ რუსეთი უპასუხოთ არ დატოვებდა და თავის მხრით ვერც ნაწარმოებს მოუმატებს ბაჟებს მომავალი ხელშეკრუებათა დღევანდელ დროს და ამ რიკათ მოსალოდნელი დამოყენო ომი, რომელიც რასაკვირველია სახლის დი არ მივა, მაგრამ ორივე სახელმწიფოს ბევრს ააღლებს.

ამ ნიადაგზე აღმოუცუნდა უთანხმოება გერმანიის თავის მოკავშირე სახელმწიფოებთანაც (სამთა ყველა ავსტრიასა და იტალიასთან, თუმცა გერმანიის კანცლერი ირწმუნება ისევ მეგობრული კავშირი ვაქვს ყველა სახელმწიფოებთანაც. ავსტრიას უნდა ასარგებლოს



მანიის და რუსეთის უთანხმოებით, უფრო მჭიდროდ და უკავშირდეს უკანასკნელს ეკონომიურ ნი-დაგზე; იტალია კი საფრანგეთისკენ მიილტვის. ამ რიგათ სამთა კავშირი, საფრანგეთ-რუსეთის საწინააღმდეგოთ შემდგარი, უარგავს თავის არსებობის საფუძველს ოფიციალურადაც, ფაქტიურათ კი დიდი ხანია მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, და სახელმწიფოთა სულ სხვა გვარა განაწილება მოსალოდნელი.

კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს ამ სადამოყრთ ტარიფს თვით გერმანიის შინაურ ცხოვრებაში, საცა დიდი უკმაყოფილება და პროტესტები გამოიწვია. ამ ბაჟებს რომ შინ პურის გაძვირება არ მოყვებოდეს მაშინ, რასაკვირველია, არავინ იტყვდა მისთვის თავს, რადგან გერმანელი აგრარები მხოლოდ შინაური პურის ბაზრის ფასებზე ზრუნავენ. პურის გაძვირება კი უმთავრესათ მუშა ხალხს ატყდება თავზე მის მკირე ბიუჯეტს მთლათ გაანდგურებს, ნამეტურ ახლა, როცა ყველგან კრიზისია გამწვავებული. ამ პროექტის ეს მხარე არა ერთხელ გვეკონია განმარტებული ჩვენ გაზეთში და ბოლოს № 50-ში ისეთი კაცის აზრი და შეხედულება გვეკონდა მოყვანილი, რომ დაბრუნება მეტათ მიგვაჩნია. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ გერმანიის დემოკრატიამ ერთხელ კიდევ დაინახა, რამდენათ ზრუნავს მათე გაბატონებული კლასისი და ეს გარემოება დიდათ შეუწყობს ხელს მას თავის ინტერესების შეგნება-დაცვაში.

მეორე საყურადღებო კითხვა გერმანიის შინაური ცხოვრებისა შეეხება თვით დემოკრატიულ პარტიაში არსებულ უთანხმოებას, რომელიც გამოიწვია ბერნშტეინის „პრაქტიკულმა მიმართულებამ“ და მისი ფრაქციის მოქმედებამ. გერმანიის დემოკრატია დღეს იმდენათ ძლიერია, რომ არც თავის თავის კრიტიკის და არც ასეთი უთანხმოების შიში მას არა აქვს, მაგრამ ყოველი პარტიისათვის აუცილებელი საჭიროა თანხმობით მოქმედება და, როცა ბერნშტეინის მოქმედება დემოკრატიის მოწინააღმდეგეთა გამოსაყენებელი შეიქნა, პარტია ვერ დაკმაყოფილდა მარტო თეორეტიული მსჯელობით, როგორც ეს 1900 წ. მოხდა, და ლიუბეკის კონგრესზე მისი მოქმედება გაკიცხულ იქმნა. გერმანიის დემოკრატია დღესაც ბებელის პროგრამას ადგია და დიდხანს დაჰირდება ბერნშტეინს ლოდინი, რომ ამ პარტიამ შეიგნოს თავისი „შეცდომები“, როგორც იგი დღევანდელ პროგრამას უწოდებს. ყველა სხვა სახელმწიფოებშიაც შინაურ ცხოვრებას აცხოველებდა ისევ ის დემოკრატიისა და ბურჟუაზიის ბრძოლა: გაბატონებული კლასი მხოლოდ თავის დაცვასა და ეკონომიურ-სოციალური პრივილეგიების შეჩინას ცდილობდა, ჩაკრულნი კი ამ ბატონობის მოსასპობლათ ირახმებოდნენ და როგორ და რა კითხვების გარეშემო, ამას მეორე წერილიდან დავინახავთ...

შინაური მიმოხილვა.

მართალია, გასული წლის განმავლობაში ამ ადგილას ბევრი ხასიათოვნო ამბავი არ მიგვიწოდებია და არ გავგიმარტავს ჩვენი ძკითხველებისთვის მაგრამ ეს არც ერთს სასოწარკვეთილებამდინ არ მიგვიყვანს. ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი ცხოვრება წინ მიდის შეუჩერებლათ და მით უფრო საჭიროა ავის ავით ხსენება და დავმობა და კარგის მოწონება. ვიცით, დღევანდელი ცხოვრება ისეა მოწყობი-

ლი, ისეთ პირობებში ტრიალებს, რომ ცუდი კეთილზე მეტია, და მით უფრო ტკბილი იმედებით უწყვეტ მომავალს, რომ აწმყოში ამდენი ბოროტებას. მათე ჩვენ არც გასული წლის მომდურავე ვართ და ახალ წელსაც გაორკვეებული ენერგიით და სიმტკიცით შევუდგეთ ჩვენი საჭირობოტო კითხვების აღნიშვნა-განმარტებას. განვაგრძოთ ჩვენ მიერ «არჩეული ვიწრო ბილიკი» და თუ საჭირო შეიქნება, წინააღმდეგ ფართო გზის მოტრფილეთა, ხანდისხან კუდე-ლრეც გადვიაროთ, ოღონდ დანიშნულ მიზანს ნუ გადვუხვევთ. მისი მიხწვევის იმედით აღფრთოვანებული ჩვენი ცხოვრების მოვლენათა აწონდაწონვაში, ჩვეულებრივთ, ნურავის წყენინებას ნუ შევუშინდებით და განვაგრძოთ ჩვენი კვალის პატარა კუთხის კვლევა...


* * *

სამწუხაროთ, ვერც ამ პირველ მიმოხილვას დავიწყებთ სასიამოვნო ამბებით, მაგრამ აქ ისევ ჩვენ ძველ ნაცნობებთან გვექნება საქმე, რომლებსაც ძველი წელიწადისთვის არც ტყავი გაუტანებიათ და არ უცვლიათ, თუმცა დღეს მოხუცი «ივერიაც» სულ განახლებაზე და გავფროპიელებაზე ლაპარაკობს.

აგილოთ შავი ქვის მრეწველნი. მათმა კრებამ 1900 წელს გამოთქვა სურვილი, რომ მუშას კვირაში ერთი დღე მიინც ქონოდა თავისუფალი. მართალია, ისინი უქმე დღეს არ აძლებენ მუშაობას, მაგრამ, როგორც «ნოვ. ობ.»-ს კორესპონდენტი იწერება, ისეთი წესი აქეთ შემოღებული, ანუ უკეთ ვაქვათ, გადუგდებელი ქირის დარიგებაში, რომ მუშა იძულებულია ექვსი დღის მუშაობის შემდეგ მეშვიდე უსაქმოთ და უაზროთ კანტორის ახლო გაატაროს, ხშირათ სამიკიტოში, საწამ მისი ოფლით მონაგარს მიიღებდეს, და ამ მიზეზით ვერ სარგებლობს თავისუფლებით, როგორც სასურველი და სასარგებლოა. მიუხედავათ იმისა, რომ უმრავლესობა შაბათ ნაშუადღევს არ მუშაობს, ჯამაგირებს მიინც კვირა შუადღემდინ არ ურიგებენ და მთელი დღე-ღამე ამ უაზროლოდინში ყავთ გაჩერებული მათ, ხოლო ეს უაზრობა სამიკიტონებში მიერეკება ხალხს. დღემდინ თუ არ იყო ეს საგრძობელი, რადან წარმოება შეჩერებული იყო, დღეს, როცა ახალი სინდიკატის მეოხებით კრიზისის ძღვევას და მუშაობის გაჩაღებას მოვლიან, სასურველია, ამ გარემოებასაც მიექცეს ყურადღება და ამის ინიციატივაც ამ ახალმა სინდიკატმა იკისროს. ბევრი სხვა ნაკლულევანებაც იყო აღნიშნული შარშანწინდელ კრებაზე, მაგალითათ ბინების მოწყობის შესახებ, მაგრამ ყოველივე მხოლოდ კეთილ სურვილათ დარჩა და ქიათურელი კორესპონდენტები ისევე ჩივიან ამ მოუწყობლობაზე, როგორც სამი წლის წინეთ. ვნახოთ, იქნებ ამ საქმესაც უშველოს ახალ მოვლენილმა სინდიკატმა, რაც მით უფრო მოსალოდნელია, რომ ბევრი მაშინდელი ოპოზიციის წევრები, რომელთაც სავსებით ეკუთვნის ამ კითხვების წამოყენება, შედიან ამ „ამხ.ნავობაში“.

* * *

სასიამოვნოა ამ ახალი ამხანაგობის გადაწყვეტილება ქუთაისში ქართული გაზეთის გამოცემის საქმის დახმარების შესახებ. პირველათ ჩვენ ეს დაწყებულება მეტ ხარჯათ გვეჩვენა, რადგან ფფიქრობდით: არც ისე მრავალრიცხოვანია ჩვენი ბურჟუაზია, რომ მისთვის ორი გა-



ზეთი იყოს საქარო ამერ-იმერეთში-თქო, მაგრამ ახლა, როცა «ცნობის ფურცელმა» უარყო ბურჟუაზიის ბაირახტრობა (?!). მისი საქაროება აუცილებელია. და რომ მომავალი ქუთაისის გაზეთი (თუკი იქნება ოდესმე) მხოლოდ და მხოლოდ ამ სინდიკატის ორგანო იქნება, ამის თავდება გამოცდილება და ჩვენი ბურჟუაზიის ძლევა-მოსილება, რომელმაც სსკისა გაზეთებიც კი ჩაიგლო ხელში, და თავისას ვის დაანებებს! გვაკვირებს მხოლოდ ზოგიერთ ქუთათურების გულ-უბრყვილობა, რომელთაც იმ გაზეთით უნდათ იმერეთის ხსნა და გაკულტურება. ამითი, რასაკვირველია, ჩვენ არ გვინდა ვთქვათ, რომ იმერეთისთვის მეტი იყოს გაზეთი, ან არ იყოს სასურველი ჩვენი ერის სხვა-და-სხვა ნაწილებმა თავისი რევოლოგები და ორგანოები გაიჩინონ, მაგრამ წინდაწინვე ვუწინასწარმეტყველებთ მის მიმართულება-ფიზიონომიას. კარგი თანამშრომლებიც კი ეყოლება ამ გაზეთს, თუ «ცნ. ფ.ლის» კორესპონდენტის ბ. ი-ს საზომით ამოიჩინეს ისინი! (იხ. «ცნ. ფ.» № 1678). ეს პატივცემული პირი ფიქრობს, რომ ქუთაისის ინტელიგენციას, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგება, რომელთაგან «ერთს ძინავს, მეორეს მიზანი და ოცნება ოცი რიცხვია, მესამესი კიღვე ოცი და ჩინი, და ყველასი საერთოდ მწვანე მაუღ-გადაკრული მაგიდა», შეუძლია გაზეთის რიგინათ წაყვანა, ამისთვის საკმაო „შრომის მოყვარეობაც მოეპოვება და მამულის სიყვარულიც“. სწორედ ღირსეული თანამშრომლები იქნებიან შავიქვის მრეწველთა სინდიკატის გაზეთისთვის ესენი და დარწმუნებული ვართ, არც არავინ შეეცილებათ...

* *

ბათომელებსაც აქვთ ყოველთვის თითო დაუსრულებელი კითხვა, ამ ბოლო ხანებში ასეთი შეიქნა საქალეზო გიმნაზიის ასაშენებელი ადგილის გამოძებნა, რომელმაც ცხრაჯერ ამოყო თავი კენჭების ყუთში. უმრავლესობა იმ აზრის იყო რომ ამ შენობისთვის აერჩიათ ადგილი № 1 (ესარგველობთ გრ. ელიავას ნუმერაციით) უმცირესობა — № 2. ეს მეორე ადგილი გახლავთ ქალაქის ბაღი, რომლითაც უფრო დაბალი ხალხი სარგებლობს, რადგან ბულვარის წმინდა საზოგადოებაში ვერ ერევა, მორადებით. ამ ადგილის გიმნაზიისთვის დათმობის მომხრე იყო და არის ბ. გრ. ელიავაც, რომლის წერილსაც ამავე №-ში ვათავსებთ და აქ საქაროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ საზოგადოდ ამ საქმის შესახებ, რომ მან როგორც ექიმმა სხვაზე უკეთ უნდა იცოდეს და ამბობს კიდევ რამნიშვნელობა აქვს ქალაქისთვის ბაღებს, მოედნებს, და საზოგადოდ თავისუფალ ადგილებს; რომ ამით ქალაქის მეურნეობის კარგი მკოდნენი მეტათ ფრთხილათ ეკიდებიან და უწოდებენ «ქალაქის ფილტვებს», რომლითაც იგი სუნთქავს. ამიტომ, თუ არა უკიდურესი საქაროება, ასეთი ადგილები არ უნდა იხმარებოდნენ შენობებისთვის. ბათომს კი დღეს ასეთი გაკვირება არ ადგია. მეორეც უნდა შევნიშნოთ, რომ არაფერი სახიფათო შედეგი არ მოყვება იმ ჩვეულებას, თუ მართლა ფეხი მოიკიდა, რომ მცხოვრებლებმა თხოვნით ან სხვა სახით გააცნონ ხმოსნებს თავისი აზრი და შეხედულება ზოგიერთ საინტერესო კითხვებზე; წინააღმდეგ, ეს თვით ხმოსნებისთვის და საბჭოსათვის უფრო ხელსაყრელია, რადგან ამ პირობებში უფრო ადვილათ შეძლებს იგი იყოს მცხოვრებლების ინტე-

რესების ნამდვილი გამომხატველი. მესამეც, ყოველი ლეგიური დაწესებულებისთვის აუცილებელი საქაროება თავის დადგენილებათა პატივისცემა და აღსრულება.

სხვა-და-სხვა ამბები.

ჩვენ რედაქციას მოუვიდა ევლახის ქართველებისაგან 27 მანათი წინის გამოსაცემით (იხ. № 1 წერილი-რედაქციისმიმართ). წინის არჩევას და გამოცემას შემომწირველები თხოვენ ჩვენ რედაქციას და ჩვენც მადლობით და სიამოვნებით ვკისრულობთ ამ საქმეს, თუ საკმაო თანხა შეგროვდა, თუ არა და, თანახმად შემომწირველთა სურვილისა, ეს ფული გადაეცემა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას იმავე დანიშნულებისათვის.

ბათომის საბჭოს თხოვნა, რომ ქალაქის მოურავის არჩევა გადიდვას საბჭოს განახლებამდისო, არ შეუწყნარებია ქუთაისის საგუბერნიო საკრებულოს და 4 იანვრის საგანგებო სხდომაზე არჩეულ იქმნა ბათომის მოურავად თ. დი. ბ. ანდრონიკაშვილი, ყოფილი კავკასიის საიუბილეო გამოფენის კომისარი.

კონსტანტინე ზუბალაშვილის მეგვიდრევებს შეუწირავთ დრამატიული საზოგადოებისათვის 1000 მან.

პირველი იანვრიდან ქალაქის ყველა აფთიაქებში შემოდებულ იქნა ახალი ნიხრი. ასეთივე ნიხრი დაწესდება კავკასიის, შუა აზიის და ციმბირის ყველა ქალაქებში.

გამოცხადდა თფილისის მეფხოეთა ინსტრუქცია, დამტკიცებული გუბერნატორის მიერ.


პირველ ხანებში თფილასში იქნება სულ 2500 მეფხოე. კანდიდატები უნდა დამტკიცოს ბ. პოლიცმენსტერმა.

4 იანვარს თფილისში გარდაიცვალა ამიერ კავკასიის რკინის გზათა უფროსი ე. ლ. ვედენევი, რომელიც დაქრეს 3 იანვარს, საღამოს, ტყეით თავის ბინის დარბაზში. თოჯი უსვრიათ, როგორც ფიქრობენ, მისი ბინის პირდაპირ ახალ აშენებული (ჯერ ცალიერია) სახლიდან, იმ დროს როცა იგი თავის დარბაზში ერთი გაზეთის წაკითხვის შემდეგ მეორეს იღებდა საღამოს მეათე საათზე. ტყეია მოხვედრია მარცხენა მხარში, დაუმსხვრევია ძვალი და მარცხენა ფილტვში გაჩერებია. ქრილობა იმდენათ მძიმე აღმოჩნდა, რომ ექიმების აზრით ოპერაციაც მეტი შეიქნა და დაქრალმა ერთ დღე-ღამეზე ნაკლები იცოცხლა.

დამნაშავე ჯერაც არ აღმოუჩენიათ. გამოძიების წარმოება მიენდო განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს ბ. გლაგოლევს.

განსვენებული ვედენევი 1883 წლიდან მსახვრებდა ამიერ კავკასიის რკინის გზაზე; პირველათ მოძრავების უფროსათ იყო, და 1895 წელს დაანიშნა კორმის ადგილზე, რომელმაც ისევ ტრალიკულათ დალია სული.

თფილისის საბაღოსნო სკოლაში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 12 იანვრისათვის.



როგორც „არგონავტი“ გამოგვეცემს დეკანოზი კოსტორგოვი გადაყავთ რუსეთის ერთ-ერთ შიდა გუბერნიაში ახალ თანამდებობაზე. ვუსურვებთ მეტი სიყვარული დაიმსახუროს ახალ ადგილზე.

ბაქოში გასული წლის განმავლობაში ცეცხლისაგან მომხდარი ზარალი გამოანგარიშებულია 314.013 მან. შავ-ქალაქში კი (საცა ნავთის ზოდებია) 454,945 მან.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოთ გამართული კონცერტიდან, რომელიც 22 დეკემბერს გაიმართა, წმინდა შემოსავალი დარჩენილა ას თუმანზე მეტი.

† 21 დეკემბერს გარდაიცვალა ღრმა მოხუცებული უგანათლებლესი თ-დი გრიგოლ ლევანის ძე დადიანი, ძმა სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავითისა. განსვენებულს დაუტოვებია შემდეგი ანდერძი:

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ ამან დააწესოს მუდმივი პრემია საუკეთესო თხზულებითთვის ქართულ ენაზე (პრემია მიეცემა ორ წელში ერთხელ) 3.000 მ.; იმავე საზოგადოების სენაკის სანჯნაურთა სკოლისთვის, 1500 მ.; ქუთაისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელს, სტაპენდისთვის—3000 მ., კავკასიის სამოსწავლო ოლქის მხრუნველს მანუჩარ დადიანის ჩამომავალთა აღსაზრდელათ, ფონდი 3000 მ., ლაილაშის სასწავლებელს—1000 მ., ფონდი—2000 მ.; ქუთაისის ღარიბებისათვის დასარიგებლათ—500 მ., გელათს, მოწამეთს და ცაიშს—300 მ.; თეკლათის დედათა მონასტერს—200 მ.; ოქრო და სხვა ძვირფასი ნივთები უნდა გაიყიდოს და შემოსული ფულიდან გაკეთდეს კანკელი მარტვილის ტაძარში. მარტვილისავე მონასტერს უნდოდერძა განსვენებულმა მამული ღებრა, ღვინჯუმის მახრაში, რომლისაგან მონასტერს ექნება ყოველ წლიური შემოსავალი 2000 მანეთი. ყოველი უძრავი ქონება განსვენებულისა, გარდა ქუთაისის სახლისა, გადაეცემა უგანათლებლეს თავადს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს მენკრელსკის. ქუთაისის სახლი ერგო ანდერძით უგანათლებლესის თავადის კონსტანტინე ლევანის ძის დადიანის შვილებს გრიგოლს და დავითს.

ტფილისის სახაზინო პალატამ სახლის პატრონებს გამოუცხადა, რომ მათ 7 იანვარს უნდა წარუდგინონ ცნობები ბანების ქირის შესახებ, რომელსაც ისინი იღებენ მდგმურებისაგან. ამასთანავე სახაზინო პალატა აფრთხილებს სახლის პატრონთ, რომ ვინც დანიშნულ დროს საჭირო ცნობებს არ წარუდგენს, იმას ჯარიმა გადახდება.

«არგონავტს» მიუღია გზათა სამინისტროს სტატისტიკის განყოფილების ანგარიში, საიდანაც ჩანს, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზას უბედურ შემთხვევათა რიცხვით უჭირავს მეორე ადგილი, მომხდარა სულ 270 უბედური შემთხვევა ანუ ყოველ 100 ვერსზე 25,23. იქვე არის მოყვანილი სტატისტიკა ყველა რკინის გზებზე მომხდარ უბედურებისა. 1899 წელს მომხდარა სულ 4,447 უბედური შემთხვევა, რაც საშუალო რიცხვით შეადგენს 12 შემთხვევას დღე-ღამეში (ამ რიცხვში შე-

დის მატარებლის ლიანდაგიდან გამოვარდნა შეჯახება და სხვ.) 3,555 უბედურ შემთხვევა შეეცხებოდა ადამიანთ.

შედარებით 1898 წელთან უბედურ შემთხვევათა რიცხვს 22% უმატია. დახოცილა—1,226 კაცი, დაშავებულია 6,933. სულ 8,159 კაცი. ამ რიცხვიდან პასაჟირებიდან დახოცილან 64 კაცი, დაშავებულან 302, რკინის გზაზე მოსამსახურეები და მუშები დახოცილან და დაშავებულან 2,027 კაცი, ხოლო გარეშე პირები 1,876 კაცი. ამ ნაირათ ერთ მილიონ გაგილილ ვერსზე 1899 წ. მოდის 4 მსხვერპლი უბედური შემთხვევისა.

უბედურ შემთხვევათა საზოგადო რიცხვში 3,093 მოხდა სახელმწიფო რკინის გზებზე, რაც შეადგენს 13,18 შემთხვევას ყოველ 100 ვერსზე; 1,354 კერძო გზებზე, რაც შეადგენს 9,25 შემთხვევას ყოველ 100 ვერსზე.

გასული წლის დამლევს პეტერბურგის უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია იმავე უნივერსიტეტის სომხური კათედრის ორდინარული პროფესორის თანამდებობის აღმასრულებელმა ნ. ა. მარმა, სომხური სიტყვიერების დოქტორის ხარისხის მისაღებათ და მიიღო კიდეც, მაგრამ ჩვენ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომელიც «Петерб. Вѣд.»-ში ოფიციალურ ოპონენტები დაუნიშნავთ ფატულეტენს ორი პროფესორი: ბარონ როზენი და კოკოვლევი. რომელთაგან არც ერთს არც სომხური და არც ქართული სიტყვიერების არაფერი ცოდნით და ეს გულახდილათ განუცხადებიათ დისპუტზე. ბ. მარის შრომა დაწერილი იყო თემაზე: «განმარტება «ქებათა ქების» ქართული ტექსტი მე-X საუკ. ხელთნაწერით, თარგ. სომხურიდან». ძართალია აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტის ხარისხის ღირსათ უცვნია ეს შრომა, მაგრამ საჯარო დისპუტებია ასეთი პროფანაცია მეტათ სამწუხაროთ უნდა ჩაითვალოს აქ უბრალო კომედიის თამაში გამოდის, და საინტერესოა რათ დაჭირდათ იგი, ან ახალგაზდა მეცნიერმა როგორ იკადრა ასეთ პირობებში დისერტაციის „დაცვა“. პეტერბურგის უნივერსიტეტსაც უავს სომხურ-ქართულის მკოდნე მეცნიერები, მოსკოვშიც მოიპოვებიათ და რათ ჩააყენეს უხერხულ მდგომარეობაში ისეთი პატივცემული მეცნიერები, რომელთაც არა გაეგებათ-რა საგნისა, და ოპერეტის პროფესორებს აღიარებენ გაზეთები.

ქ. ხარბინიდან (მანჯურია) მოგვივიდა შემდეგი დეპეშა: «გთხოვთ გადაცეთ ჩემგან ახალწლის მილოცვა ნათესავთა და ნაცნობთ. ვუსურვებ ყველას ჯანმრთელობას და ბედნიერებას. სიმოხ თედორეს ძე კაჯანდარაძისგან».

- მივიღეთ ახალი გამოცემები ძმ. იმედაშვილებისა:
1. ცხოვრების სარკე, პიესების კრებული, წიგნი II, რომელშიაც მოთავსებულია: ურიელ აკოსტა, ფული და ხარისხი (აზიანისა), ოსკან პეტროვიჩი საიჭიოს, ქუქისა ჭირს, დთვი, დედაკაცმა აგვრია (დ. ნახ—შვილისა), ლექსები, კუპლეტები, სცენები და წერილები. ფასი 1 მ.
 2. იანიჩარი, დ. ნახუცრიშვილისა, ფასი — კპ.
 3. სუმბული, ლექსები სიმ. ქვარინისა, «გლეხის» გამოცემა, ფასი 25 კპ.
 4. Г. Басалейникъ. „Исповѣдь миллионера“. Памяти Солодовникова. ფასი 1 მან.

კორესპონდენციები

დ. ხოლო. ხანას სამაქალაქო სასწავლებელის დაბ-
ბაში, ქართლში მდებარე უკანასკნელ დღეებში, მოსწავლე-
ებმა გამოათქვამეს საღატაკო საღამოები. პირველ საღამოზე
სამაქალაქო სასწავლებლის უფროსმა ვ. გ. შროკოფიუკის მო-
მხატვარ სონის სასწავლებლების მოსწავლეები, გარდა საო-
ტატო სემინარიისა და ქალების სასწავლებლებისა, რომელნიც
მესამე საღამოზე იყვნენ მიწვეულნი. — მუცელ საღამოს კი იმის-
თანა ხელს დაესწრო, რომელთაც შესაძლოა მარტო სი-
მარში ეხანოს, და მოესმინოს ის, რაც მან სწავლით
შეუძლიათ მოწოდებლ სტენიდან დაინახა, და მოესმინა. დაბ-
ბაში საესე იყო უბრალო ხალხით.

მესამეზე მომხატვრული იყვნენ სონის ინტელიგენცია და
მოგზაგნი ხალხი; მოსწავლეების მშობლებიც ამ საღამოს მო-
ვიდნენ, თუმცა მომხატვრული მუცელზე იყვნენ. მშობლების სი-
სარულს საზღვარი არ ქონდა, რომელსაც თავიანთ შეილებს
სტენაზე მკათიოთ მოლაზარაკის, რუსულის, გლობის მტო-
ნეს უტყობდნენ, და უსმენდნენ. სამივე საღამოს თავი ისახე-
ლეს კარგი მომხატვრით მოწვევებში. საზოგადოება ძალიან
კმაყოფილია ღარნი, როგორც შროკოფით, ისე ამსრულებლე-
ბითაც და დიდი მადლობა უძღვნა ბ. შროკოფიუკის მათი გა-
მართვისთვის. შროკოფიუკის შედეგად როგორც რუსული, ისე
ქართული მწერლების ლექსები, და პატარა ვოდეილები.

იქვლია, სხვა სასწავლებლებიც მიბამევენ ამ კეთილ მატ-
ლის და ხანდახან გონებრივ საზრდოს მიწოდებენ ჩვენს
დაბის მცხოვრებთ, ნამეტურ დაბიო ხალხს.

ასეთი საღამოები მოსწავლეთა მშობლებსაც შეაყვარებს
და უფრო დაუხლოვებს სასწავლებლებს.

ილია ბახტაძე.

მ. ჭუთაინი. კვირას 16 ქრისტეშობისთვის, კრება
გვექონდა ქუთაისის მუნიციპალს სასკოლის გატეობის სა-
გომში. კრებას 25-დე პირი დაესწრო: პირველი კითხვა იყო
ახლათ ამხანაგობის დაარსების და ტყაუების სავაჭროს გას-
სნის შესახებ.

ბატონებო ეს სასწავლო დაგვიჩვენა ცხოვრების გან-
უმჯობესებლათ, ამბობდა ბ. თავმჯდომარე, უკვლამ მუცლათ
მოკვიდეთ ამ საქმეს სული და რაგინი ნიადეგი მიკრეთო.
შემდეგ, მოკვლათ განმარტეს ამხანაგობის საჯანი დამომავლ-
ში მისი წარმოება. საზოგადოება სიამოვნებით მკუება ამ სე-
იმელ საქმეს და გამოიღეს თითო მანეთი საწევრო ფული,
გარდა ღირებულ სეთ თუმბანი პასა, რომელიც ბატონს
განდუღავს ჩაბარდა საქმის საწარმოებლათ. „ღმერთო პარნი-
თლათ წავგვიმართე კვ საშვილი-შვილო საქმე. ნუ გაცინებ
ჩვენ მტრებს, რომელნიც ჩვენგანვე გამდიდრებული ჩვენ სი-
ღარბებს დაცინიანო“, ისეთი კილოთი წარმოთქვა ეს სიტ-
უება სან შესუღმა, ჭადრა გარუღმა კაცმა, რომ მხანკელი
აშგარათ დარწმუნდებოდა, რომ მის შექმნილ სასესე ცხო-
ვრებას თავის დადი დაესო, სიღარბეს კი მოთმინებდან გა-
მოუყვანა, და ისე გულ-მტკიანულათ ღამარაკობდა, „ღმერთო
ჩემო, მთელი ჩემი სიცოცხლე შრომაში გამიტარება და სი-
ღარბის მტეი არა გამაჩნია რა“.

მართლაც, რომ დაუკვირდეთ ჩვენ სულბას ქუთაისში,
მღაერ ცუდ ნიადეგზე დგას იგი: ნიუთიერთ მღაერ დაწველ-
ნი არიან ასე რომ ასში ერთს არა აქვს საშვადება, რომ თა-
ვისუფლათ შექმლოს შვილის აღზრდა, და რაგინი ცხო-

ვრება ან ზომიერი მეშობა. საბჭალო მუცქე, დღის ამის
სათიდან დაწვეული ღამის პარველ სათამარს დაწვეულ
ლათ ცუდს მუსლებზე კვეს და თან თავის მწარე სუკდებს და-
დიდებეს. ბევრს ეს დიდინი უდარდელ ცხოვრებათ მიჩნია,
გაწვეუნარბელი შრომა-სიმდიდრის მოშობის სურვილის შე-
დგათ, მაგრამ ეს შესედულება არ მართდებოდა: თასი წელი
რომ იცხოვროს და განწვეუტლივ იმ შრომის მუცქემის დარბე-
მინც არ იციდებოდა. ბ. თედიზე სულამქე, ამხანაგობის
მომავალი და მისი მნ. შენებობა უფრო ნათლათ აგვისსა და
ბევრი სხვა შემდეგ ფულებს მოსავრებათ და საქმის საწარმო-
ებლათ ზვირბით სამი კაცი, თქროპიჭ კანდუღავი, ილიკო
სტუბაგოვი, და გიგო სულედიანი. გარდა ამისა თი კაცი სა-
რევიზიო გამოსიაში იქნა არჩეული. ჩვენ კრებაზე სმირათ გა-
იგონებდით ვანო პერადოვის სასკეს, რომელსაც აღუთქვამს
უოველგვარი დასარების აღმოჩენა, როგორც შროკოფის შე-
ტენაში, ისე ფულების შესახვაში და ნდობის გასსნა ბანკში,
რისთვისაც დიდი მადლობის ღირსი იქნება.

მოსე უკრაინცვი.

ახალწლის ღამის.

(სიმღერა).

შემოკრბით, ძმებო, ახალსა წელსა
ერთათ დაუხვდეთ და მივეცებოთ,
მოვმართოთ ჩანგი სიყვარულისა
და სიმებათ კი თვით შემოვევლოთ.

დავთვალთ ცრემლი წარსული წლისა
დე, მოგონებამ წაიღოს გული,
მაგრამ იმავდროს ეკლიან გზისთვის
ვიყენეთ ჩვენო მარად გამზადებული!

ახალი წელი, ახალი წელი!
ძმებო, ჯვარია ეს გოლგოთისა,
მაგრამ იმავ დროს ზამთრის წყელიადში
მახარობელი განთიადისა!

და დღეს ჩვენც იმას ვუმღეროთ ერთათ,
დეე იმედმა იფეთქოს გულში,
წარსულის ცრემლი ნამად ჩავწუროთ
სავაზაფხულო ჩვენს თაიგულში!

მაშ აბა, ძმებო, ახალსა წელსა
ერთათ დაუხვდეთ და მივეცებოთ,
მოვმართოთ ჩანგი სიყვარულისა
და სიმებათ კი თვით შემოვევლოთ!..

ი. ევლოშკილი.


საქმუნარო შედეგი

(ისტორიული რომანი 1841 წ. გურიის ცხოვრებიდან)

კ. ნინ. აშვილისა.

(გაგრ. ქ. ქა. — ნ. № 1).

მანას ჯერ კიდევ არ ეძინა და ფიქრობდა «ნეტა
რა იყო, ძაღლებმა რომ უყეფესო», რომ მისმა სატრფო
სიმონმა კიდევაც მიადწია — თის წმ. გიორგის ეკლესი-
ას. ეს ეკლესია იღვა ერთ იმ გორათაგანზე, რომლები-
თაც ისე მოუწმასწორებულა გურიის არე-მარე. ეს იყო
ერთი პატარა, მუხის ყავრით დახურვილი ქვითკირის ოთხ-
კუთხედი შენობა. რომელიმე ამ ეკლესიის მრევლთაგა-



ნისთვის რომ გეკითხათ, როდის ააშენეს ეს ეკლესიაო, ის შეუყოყმანებლათ გიპასუხებდა: როდის და თამარ მეფის დროს, თვითონ თამარმა ააგებინა თავის კალატოზსო. ამასთან ის დაგვიწყებდა რწმუნებას, რომ ის აგორავებული ადგილი, რომელზედაც ეს ეკლესია დგას, თამარ მეფის ამაღლა ქალების ქოშზე მონათხევი მიწისაგან არის გაკეთებული; ბატონი თამარი თურმე ჩამოხანებულა გურიაში, დახანებულა ღამის გასათევათ ჩვენ სოფელში, დილაზე, წასვლის დროს, მის ამაღლა ქალებს ქოშები დაუფხვიათ, ის მონათხევი მიწა ისე ბევრი ყოფილა, რომ იმისაგან გორა გაკეთებულა, ბატონ თამარს შეუხენდავს ამ გორაკისთვის და უბძანებია თავის კალატოზებისთვის ამ გორაკზე საჩქაროთ ეკლესია ააგეთო. ეს კია, რომ ეს ხალხი ვერავითარ დამამტკიცებელ საბუთს თავის ნათქვამის შესახებ ვერ გაჩვენებდა; იმათ ვილაცასაგან გაგგონათ თურმე ვგრე ყოფილაო და, როგორც ყველა უსწავლელი ხალხი, რომელსაც რაც კი ძველიდან გაუგონია, ყველა სიპართლე გონია, ამათაც დაეწინათ: ვერეა და ვერეო. ამას გარდა ამ ეკლესიის მრევლს ბევრი გადმოცემა შეენახა იმ სასწაულ-მოქმედებაზე, რომელსაც, იმათი სიტყვით, ამ ეკლესიაზე მყოფი წმ. გიორგის ხატი შერებოდა ძველ დროში. თუ კი შემთხვევას იპოვიდნენ ლაპარაკისა, დიდიდან პატარამდე თვითეული მათგანი სრული დარწმუნებით გაიპობდა, რომ ამ წმინდა გიორგის ხატმა ქვით აქცია ამ ხატის სახელობაზე გაშვებული ხარის შექმნილი მგელი, მესენაკე დედაბერის თხოვნაზე ფრთებ დამტვრეული ჩამოაგდო ძირს ქარი, რომელსაც მესენაკისთვის წიწილა მოეტაცნა; ერთმა მუშა-კაცმა ამ ეკლესიის ეზოში წკნელი მოჭრა, სადამოს, შინ რომ დაბრუნდა, ავით შეიქნა და სანამდის ხატის სახელზე ხარი არ შეწირა, წმ. გიორგი მკლავს, ყვიროდაო და სხვა ათასგვარ სასწაულებს მოგიყვებოდნენ. ეს ხატი მით იყო შესანიშნავი, რომ ნამდვილ ოქროსაგან იყო გაკეთებული და ძვირფასი თვლებით მორთული. ეკლესიის წინ, ურთხლის ბოძზე ეკიდა ერთი პატარა ხარი, რომელიც იმ ოცი თუ ოცდაათი წლის წინეთ ეყიდა ამ ეკლესიის მრევლსა. ამ ხარის ყიდვამდე ხარის ადგილს იჭერდა ცაცხვის ფიცარი და წითელი ხის ურო. წირვის დაწყების წინეთ დეკანოზი უროს ურტყამდა ფიცარზე, რომლისაგან გაისმოდა ერთი უსიამოვნო რახუნის ხმა, რომლის გაგონებაზე ღვთის მოყვარე ხალხი იკრიბებოდა ეკლესიაში. გარეშემო მიღამო, ანუ გზა ეკლესიისა ვიწრო იყო და, გარდა ერთი მხრისა, ტყით დაბურვილი. ერთი დიდი ცაცხვის ხე და ერთი დიდი ურთხლის ხე ისე ახლო ედგენ ეკლესიას, რომ იმათგან მონაცენი ფოთლებით ეკლესიის სახურავი ერთობ მოფენილიყო. თუმცაღა ერთი უცაბედათ რომ ამ ხეებისთვის ქარს ტოტი მოეგლიჯა, ეკლესიას დამტვრევა არ აცდებოდა. მაგრამ ხალხი მაინც ვერა ბედავდა იმათ მოჭრას, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ეს ორი ხეები „ჯვარის ძალის“ მოსასვენო და სასხლომი არიანო.

სიმონს დახვდა ეკლესიის ეზოში კარგა ძალი ხალხი, რომლის შუაში საქმინი, გაბედული სახით გაჩერებულიყო ერთი შეწვერ-ულვაშა კაცი და ყვიროდა: „აბა თუ ვინმე ღარჩა კიდევ დაუფიცებელი, მეიყვანეთ და ბარემ მოვრჩეთ ამას!“ მის გვერდით მყოფ ღვდელს ეჭირა ქალაღი, რომლისაგან ის კითხულობდა იმ სიტყვებს,

რომლებიც უნდა წარმოეთქვათ ფიცის მიმღებთ. მათ შუა მიწაზე ილა წმ. გიორგის ხატი. ექვთიმე მცხეთელი და კაცს ეჭირა ხელში ხარის ენაზე მიხმული ხარის და ხანდახან შემოკვირიდა ხარსა. ხალხსა ჯერ კიდევ ემატებოდა თითო-ოროლა კაცი; იმათგანში, რომლებსაც ჯერ ფიცი არ მიეღოთ, ღვდელი აფიცებდა, რომ ისინი არ გამოტყუდებენ იმ საქმისაგან, რომელსაც ხალხის უმეტესობა დაიწყებდა. ვინც ამგვარი ფიცის მიღებაზე უარსგანაცხდებდა, იმას ყვირილით მიცვინდებოდნენ ყველა დაფიცულები და ძალათ აღებ ნებდენ ფი. ა. ახალ დაფიცებულები ჯერ ემთხვევოდნენ იქ, მიწაზე, მყოფ წმ. გიორგის ხატს და შემდეგ სხვა ხატების სამთხვევათ შედიოდნენ ეკლესიაში, რომლის კარი ამ დროს ღია იყო და რომლიდანაც გამობეჭუტავდა თაფლის სანთლის სუსტი სინათლე.

— აჰა, სიმონმაც მოაწია, ახლა მზათ ვართ.

დაიძახა ვილაძე, რა რომ სიმონ — ძე ავილა ეკლესიაზე.

— რა დეიჩემე, სიმონ, აი დაგვიანება!

უსაყვედურა ბესომ.

— შეუძლოთ ვარ და იმიზა დამაგვიანდა, — იმართლა სიმონმა თავი და ბოლოს დაატანა კითხვა: რა იყო ვითამ, უჩემობით წახთა რამე თუ?

— რაი და ბესიამ არჩია ერთი ნასტავლი ბიჭი ვიცი, იმას ვკითხოთ ჩვენი საქმეო. ამიზა ამოგარჩიეთ აზნაურებში ევანე და შენ, ყაძახებში ბესიე, პეტრიე, ათარმიზაი და სამი კიდევ. თქვენ უნდა წახვიდეთ, დააფიცოთ იი ვინცხაა და მერე კითხოთ ჩვენ საქმეზე, — უთხრა ერთმა ქალარა კაცმა სიმონს.

— გიორგის ვკითხოთ-მეთქი, სიმონ, რავა მოგწონს? დაეკითხა ბესია.

— გიორგი? ღირს მე და ჩემმა ღმერთმა, ძან ნასტავლი ყმაწვილია. — უპასუხა სიმონმა.

— მერე რეზა მე, ან სხვაი ვინმე, თქვენს გარდა, არ ვიცნობთ იმ თქვენ გიორგის, თუ კი იმისთანაი ნასტავლი არის? გურიაში არც ერთი წარჩინებული კაცი არ არის, რომ მე ვერ ვიცნობდე!

თქვა ამპარტავნულათ ერთმა მაღალ-მაღალმა, ქოსა წვერ-ულვაშა, ცბიერი სახის, ქერა კაცმა, რომელსაც ევანეს ეძახდენ და რომელიც აზნაურების მხრით იყო ამორჩეული, რამ გაყოლოდა სიმონს და ბესიას.

— ნუ ყოყმანობთ, ბარემ წადით იმ კაცთან, ეგება ერთი კაი რამე გვიჩიოს, — დაიძახა ვილაძემ.

— წადით, ჰო, წადით. დაიძახეს რამოდენიმე სხვებმა.


— წვედიდეთ აბა, — თქვა ბესიამ და დააპირა წასვლა, მაგრამ ამ დროს ივანემ წამოიძახა:

— მე ჩემი ბიჭი, კოზიე, თუ არ მახლავს, ისე ვერ წავალ.

— ვითამ სად არის, რეზა არ მოვიდა ამდონ ხანს კოზიე? — შექნეს ხალხში კითხვა.

— სადმე საქურდალათ იქნება წასული, — ჩაილაპარაკა ვილაძემ.

ამ დროს ჩავიდა ეკლესიის ქისკრებში ერთი ბეჭებ განიერი, უსიამოვნო შეხედულების, შაგვრეპანი ყმაწვილი კაცი, რომლის ჩაღრმავებული წვრილ-წვრილი თვალები გამომეტყველებდნენ ამ კაცის ვაჟკაცობასაც და ავსულობასაც. ეს იყო კოზია, აზნაური ივანე — მის შინაყმა.



— გვეღირსა, მოვიდა კოზიეცი, აბა ახლა წვედიდეთ. თქვა ბესიამ, გაიღო თოფი მხარზე და წაუძღვა წინ თავის ამხანაგებს.

— წამოი, კოზიავ, ჩემთან. ხედავ, ამ ყურუმსად ბესიას თავის ქკუაზე მიყავს თემი და რომ არ დეიჯერებ რაღას იქ! აბა სიმონი თაობიდანვე ატორღილებული ყავს და ივია.—უთხრა ივანემ თავის ბიჭს და რაღაც უკმაყოფილო სახით გაყვა ბესიასა და სიმონს.

— სიმონ სიძე მისი და იმიზა ეტორღილება. — გესლიანი ღიმილით უპასუხა კოზიამ.

— რავე სიძე, ბიჭო?

— ბესიეის დაი უყვარს.

— დასტურ, ბიჭო?

— დასტურ ჰო, ყოველ ღამე მასთან აგლია.

— კაი ქალია?

— მე ჯერ იმისთანაი არ მინახავს. მზეთუნახავია, მეტი რაი.

ივანეს სახე ბოროტათ გაუღიმდა, მისი წვიტ-წვიტი ნაცრისფერი თვალები შეთამაშდნენ. ეტყობოდა, რომ ამ ნახევრათ მოხუცებულ ახნაურს რაღაც ეშმაკურმა ფიქრებმა გაუთამაშეს გულში.

— ბიჭო, კოზიავ... — მიუბრუნდა ის თავის შინაყმის და უნდოდა რაღაც გაენდო, მაგრამ ამ დროს დაინახა, ბესია და სიმონ, რომლებიც გაჩერებულიყვენ გზაზე და უსდიდნენ ამათ და გადაასხვავნა სიტყვა ამგვარათ:

— ხედავ, კოზიავ, შებრუნდა დროი, ახნაურები კაძახების ქკუაზე ვიარებით.

— რა ვუყოთ, ვვანე, დღეს ჩვენ კრებაში ყაძახები უფრო ბევრი არიან, ჩვენ სულ მცირე. ჯობია, რომ დავუჯგვროთ.— ეხუმრა სიმონი.

— ავია, დავუჯგვრე და მეტი რაღა უნდა.

— ვვანე, რომ გწყენია, აქანაი საშენ-ჩემო საქმე არ არის, ქვეყნის საქმეა და ქვეყნის საქმე ქვეყანას რომ ქკუაში მოუფე, ისე უნდა წვედიდეს. მე თქვენს ქკუაზე ვიარებო! რა დიდი საქმეა შენ და გინდა სხვაი ერთიორი კაცი, ვინც გინდა იყოს, რომ ქვეყანამ მის ქკუაზე წერიყვანოს.— გულ-მოსულათ უთხრა ბესიამ.

მერე ქვეყანა შენ ხარ? — კითხა ივანემ და მწარეთ ჩაიცინა.

— ქვეყანა მე, ერთი კაცი, რეზა ვიქნები! მე ჩემი აზრი ვუთხარი, თემს მოეწონა და დამიჯერა. სხვას რომ უკეთესი ეთქვა, მაშინ ჩემსას უარს ყოფდა და იმ უკეთესს დაადგებოდა, თემის საქმე ასე უნდა. აბა საშენ-ჩემოთ თემის საქმე რავე იქნება!

— მეიცა, ადრე ნახავ რაც დიდი კკუა აქ იმ შენ თემს და რაც ხეირს დაგაყრიან, — ჩაილაპარაკა ივანემ თავისთვის და გაჩუმდა.

ბესიას და მისი ამხანაგების წასვლის შემდეგ ერთორ საათს კიდევ დუღდა ხალხის ხმა ეკკლესიის ეზოში, კიდევ დაფიცდა რამდენიმე კაცი, შემდეგ კი დეკანოზმა შეიტანა ხატი ეკკლესიაში, დაკეტა კარები და გამოუცხადა ხალხს, რომ წასულიყვენ თავიანთ სახლებში. ხალხი დაემორჩილა დეკანოზის ბრძანებას და ერთი წამის განმავლობაში დაცალიერდა ეკკლესიის მიდამო.

(შედეგი იქნება)

წერილი პარიჟიდან.

ორი თვეა, რაც აქ არსებობს „რუსეთის უმჯობესი შკოლა“. დღემდე ჩაწერილია ამ შკოლის სტუდენტთა 264 პირი. მათ შორის 120-მდე ურიაა, ცოტა უფრო ნაკლები რუსი და რამდენიმე ქართველ-სომეხი; ქალია 130 და კაცი 116. ამათ შორის 20-მდე მუშაა, დანარჩენი ინტელიგენტი. პეტერბურგიდან თფილისამდე და ვარშაიდან ირკუტსკამდე, თითქმის ყველა ადგილებიდან არიან აქ მოსული. მართალია, 246 ვერაფერი დიდო რაცხვია, მაგრამ ეს იმის ბრალია, რომ წელს ეს შკოლა ვერ არის მოწყობილი ისე, როგორც ამას მოელოდა რუსეთის საზოგადოება; აქ არ არის სისტემატიური ლექციები, არამედ შემთხვევითი, იმის მიხედვით, თუ რომელი პროფესორი მოისურვებს და იშოვის დროს აქეთ წამოსასვლელათ. ამგვარათ ცნობილმა მაქსიმე კოვალევსკიმ გაათავა თავის ლექციების კითხვა (წოდებათა ისტორია რუსეთში და ამერიკის დემოკრატიის წარმოშობა), მსურველთ თხზულებებისთვის თემები დაუტოვა და წაიღო აგერ სამი კვირაა. ეხლა ჩამოვიდნენ კარიშევი (პოლ. ეკონომ.) და კარევეა (სოციოლოგიის შესწავლის გზა და პიროვნების როლი ისტორიაში) და ესენიც ორ კვირას შემდეგ წავლენ. მარტში გვპარდება ჩამოსვლას ისავეი. სისტემატიურ ლექციებს აქ კითხულობენ მხოლოთ მე-XIX საუკუნის ლიტერატურაზე (ანიჩკოვი), ანტროპოლოგიაზე (ვოლკოვი) და უფლებაზე (გამბაროვი). ვინც ეს წინდაწინ იცოდა, რასაკვირველია, არ წამოვიდოდა აქეთ მხოლოთ ამ შკოლაში სასწავლათ და მართლაც, ამ შკოლისთვისაა აქ მოსული მხოლოთ 160, დანარჩენები კი სხვაგანაც სწავლობენ.

რამდენათაც შეგვიძლია დავენდოთ მომავალს, ამ შკოლის გაუმჯობესების და მასში სისტემატიურათ ლექციების კითხვას, ისე რომ შკოლას დაედოს ნამდვილი უნივერსიტეტის სახე, ამის იმედს იძლევიან მომავალი წლისთვის. ვისურვებთ ამის აღსრულებას, რაიც ბევრს მოიზიდავს აქეთ, და აქეთ წამოსვლა ამ შკოლას გარდა სხვას უურო დაუფასებელ განძს შემატებს ყველას და ბევრ დიდათ გამოსადეგ იარაღს გაატანს აქედან რუსეთში დაბრუნების დროს. სასურველია ბევრმა ჩვენმა თანამემამულემაც ისარგებლოს ამ სასწავლებლით, რადგან ლექციები მათთვის გასაგებ ენაზე იკითხება. მართალია, ყველა, ვინც კი იცნობს პარიჟს, იტყვის, რომ სიძვირე აქ აუტანელიაო, მაგრამ ეს მხოლოთ რამოდენიმეგათა მართალი და გადაჭარბებაც საკმაოთ ურვეია შგ. მართალია იმიტომ, რომ კონტინენტის სხვა ქალაქებთან შედარებით სიძვირე აქ მეტია (ხორცის, გათბობის, განათების, ფებსაცმელის, თამბაქოს), მაგრამ აქაც შეიძლება 8-10 მანეთათ ოთახის შოვნა, ექვს შაურათ სადილობა (რუსის სასადილოში) და ასე სხვაც ყველაფერი.

თეთ ფრანგი აქ ურ სიძვირეს ადვილათ იტანს, რადგანაც სახლში ის მხოლოთ შეიდ საათს ატარებს დასაძინებლათ; სხვა დროს ან ლექციებზეა, ან სამსახურში ან სხვა საქმეებზე (პროფესიის მიხედვით), ან ყავახანაში, ან კონფერანსებზე. მიუმატეთ ამას ის, რომ ფრანგს სიცივის არ ეშინია (ჰავე აქ, ყველამ იცის, ზომიერია), ოთახის თბობა არ უყვარს (ამიტომაა, რომ აქ სულ ერთთავათ სახლებში ბუხრებია და თუ სითბოს მიჩვეული ხარ, ძვალს ვერ გაითბობ), ფრანკ ნახევრათ კარგათ ისა-

დილებს ღვინით, ასევე იკანშმებს უფრო ნაკლებათ ან ყავახანაში მიუჯდება რაიმე სასმელს და ან კონფერანსზე წაივა. გინდა თუ არა უნდა შეეჩვიო ფრანგულ ცხოვრებას, ოთახს გაურბოდე და საზოგადოებაში, კრებებზე, უნივერსიტეტებში და სხვა ამისთანა ადგილებში ატარებდე იმ ორიოდე დღეს, რომელიც მოუმაღლებია შენთვის ბუნებას.

N.

პარიჟი. 22 დეკემბერი (4 იანვარი).

სიტყვაკაჯგული მწერლობა 1901 წელს.

(შემდეგი. - იხ. № 1).

გიორგი პინტილიანს ბევრში წააგავს მიხეილ მქაუნაშვილი, რომელიც ს. ო—ას ყავს გამოყვანილი თავის „წუთისოფელ“-ში. ეს მოახრობა 1900 წელს იბეჭდებოდა და გასული წლის პირველ ნომერში დამთავრდა. თუ გიორგი პინტილიანი წარმომადგენელია ქართველი ბურჟუაზიისა, რომელსაც თავისი მოქმედების ასპარეზი ქალაქში გადუტანია, სამაგიეროთ მიხეილ მქაუნაშვილს სოფლათ დაუწყია თავისი მიზნის განხორციელება! მერე რაში მდგომარეობს ამისი მიზანი? გაძიდებებში. ფულის შეძენის გულისათვის ის არაფერს არა თაკილობს, ყოველიფერს კადრულობს, ყოველგან და ყოველიფერში ის მხოლოთ ფულს ეძებს; პატიოსნება, ძმობა, მეგობრობა, სიყვარული მისთვის არ არსებობენ,—ფული და პირუტყველი განცხრომა სიამოვნება—აი რაში ჰპოებს ის მთელ შინაარსს თავისი ცხოვრებისას. ერთათ ერთი დამოკიდებულება, რომელიც სუფევს იმასა და დანარჩენთა შორის—ეს არის სარგებლობისა და სიამოვნების შეძენა, — ყველას გაფუცქენა და გატყავება, უმანკოების ცინიკურათ შეღახვა—აი მთელი მისი მოღვაწეობა. ფსიხოლოგია ამ გძირისა ავტორს ძალიან კარგათა აქვს დასახული, მოქმედება მთელ მოთხრობაში ძეყობრათა და ბუნებრივათ აოის გახვითარებული, სხვა-და-სხვა ნაწილები ერთმანერთთან ლოდიკურათ არის დაკავშირებული და ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ ავტორს სახელოვნო ნიჭი აქვს. ამ მოთხრობაშივე შეგხო ავტორი თავად-აზნაურობის „დაღუპვის“ კითხვასაც, ამ კითხვის სახელოვნო ფორმაში განვითარებით ავტორმა დაგვანახვა, რომ თავად-აზნაურობას, როგორც განკერძოებულ წოდებას, ვერაფერი ველარ იხსნის; მატერიალუთათ ის დღითი დღე დატაკდება, ყოველივე განკერძოებული უპირატესობანი მან თითქმის უკვე დაკარგა, მაგრამ ყველაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ გონებრივათ და ზნეობრივათ თავად-აზნაურობა ერთ წერტილზე შედგა, აღარავითარი წინმსვლელობა ამ მხრივ მას აღარ ეტყობა: ყოველი მხრით ის გადაშენების გზას ადგია. აიღეთ ამ მოთხრობის თავადი გედევანი და მისი შეუღლე. განა ცხადზე ცხადი არ არის, რომ ამათი დღენი დათვლილია? განა აშკარა არის, რომ ესენი წარსულს ეკუთვნიან და არა მომავალს, აწმყოში კი შესაბრაღისს სურათს წარმოადგენენ სულთმობრძაღისას? ჩვენს მწერლობაში არა ერთხელადა ორჯერ თქმულა, რომ წოდებათა მოსპობა ჩვენს ცხოვრებაში თვით დრომ მოიტანა და ამასთან ბრძოლა, ამის შეცვლა ყოველათ შეუძლებელია. ყველა მიმართულების პირნი აღიარებენ დღეს ჩვენში, რომ საქართველო ვეროპიელდება, ჩვენ ყველას გვინდა, ყველა შეგხარით ამ გავეროპიე-

ლობას, რომ იქნება აქ მაინც ვბოვოთ პასუხი მწვევე კითხვებზე, აქ მაინც ვბოვოთ მალამო სოციალისტურ წესებში ღებისათვის; მაგრამ ამევე დროს თითქმის კანტონის წესების, რას ნიშნავს ეს გავეროპიელება, ვეროპასაც ვებოტინებით და «ჩვენებური, ძველებური»-ს დაკარგვაც არ გვინდა, მაშინ როდესაც ორივე ერთათ შეუთანხმებელია, მოუხერხებელია, მით უფრო გასაოცარია გულუბრყვილობა და გაუგებრობა ზოგიერთი მწერლებისა ჩვენში, რომლებსაცა რწამთ, რომ შესაძლებელია ყველა წოდებათათვის ერთნაირათ ზრუნვა. გაიხედ-გამოიხედეთ ჩაუკვირდით ჩვენს ცხოვრებას კარგათ და დაინახავთ, რომ წოდებები მიდიან, მათ აღაგას სხვა მოღის; ამგვარ პირობებში თავად-აზნაურობის გასამაგრებლათ ზრუნვა არა თუ შეუძლებელია, სიზაფის შრომაა, უაზრო და უნაყოფო. ერთათ ერთი, რაც შეიძლება თავად-აზნაურობისათვის, ეს მისი გონებრივი და ზნეობრივი წარმატებისათვის ზრუნვა, აი აქ არის მისი ფრიად სუსტი და საშაში მხარე და ამას უნდა მიაკციოს მთელი თავისი ყურადღება მან, ვისაც მისთვის გული შეტკივა; ხოლო დღეს თუ ხვალ თავად-აზნაურობამ სამუდამოთ რომ უნდა დაკარგოს წოდებრივი სახე დაუბრუნებლათ, ეს უკვე გადაწყვეტილია ისტორიისაგან. ზემოთ აღნიშნული მოთხრობის ერთი დიდი ნაკლულევენება იმაში გამოიხატება, რომ ზოგიერთი ადგილები ნამეტანი ცინიზმით არის აწერილი, მაგალითათ სულიკოს სიბავშვ და მისი უმანკო გარყვნილება სხვისი მიბაძვით გამოწვეული. ასეთი ადგილები მოთხრობას არაფერს არ მატებენ: ყოველი მკითხველი კარგათ მიხვდება, რომ დედის გარყვნილების მოწმათ ყოფნა ბავშვზე ცუდათ იმოქმედებდა; პირიქით ცინიკური რეალიზმი დიდ ნაკლულევენებას შეადგენს ყოველი ხელოვნური ნაწარმოებისას მაშინ, როდესაც ასეთ ცინიზმს არავითარი მოსაზრება არ აპართლებს. საჭიროა და სასურველიც ცხოვრებას სისაძაგღისა და გარყვნილების აშკარათა და თამამათ ხატვა მაშინ, როდესაც ავტორს მიზნათა აქვს ცხოვრების ამადლება; ხოლო დაწვრილებით აწერა იმისი, თუ რას შვრებოდა პატარა სულიკო ლოგინში ან როგორ იხუტებდა მუთაქას, მხოლოთ შეურაცყოფს მკითხველის ესტეტიურ გემოვნებას, შეძენით კი მას სრულებით ვერაფერს ვერ შეძენს. ნატურალიზმი კარგია მხოლოთ მაშინ, როდესაც ის ებრძვის ცხოვრების სისაძაგღეს, გასაკიცხია მაშინ, როდესაც ის ხატავს ყოველგვარ უზნეო მოვლენას იმის და განუკითხავათ თუ რა მიზანა აქვს ასეთ ხატვას. სამწუხაროთ ჩვენ მწერლობაში ჩნდებიან აქა იქ ნატურალიზმის ცუდი მხარის ნიშნები და კრიტიკის მოვალეობაა, მათს განვითარებას ებრძოლოს.

ან. ერისთავი—ხოშტარის „კერა“ და ბარნოვის „მეჩვენა“ უნდა ჩაითვალოს ფრიად სუსტ ხელოვნურ ნაწარმოებათ. «კერა»-ში თქვენ ვერ ხედავთ იმ ნიჭს, იმ დაკვირვებასა და ცოდნას ცხოვრებისას, რომელიც გამოიჩინა ავტორმა თავის წინანდელ ნაწერებში. გღების ბუნება ალაგ-ალაგ თუ რივიანათ არის აქ დაასიათებული, საერთოთ სრულებით დაახინჯებულია ავტორის მიერ. ყოველივე ამას მიუმატეთ ის, რომ თემა მეტათ შაზლონური და ყურადღებას მოკლებულია, და დაშეთანხმებრთ, რომ „მოღიპულ გზაზე“-ს ავტორმა ამისთანა სიუჟეტებზე არ უნდა გააღღინოს კალამი და, თუ უკეთესის და-


წერა აღარ შეუძლია, უნდა შეჩერდეს: დახურდავებას და დაქვეითებას ისევ კარგზე შეწყვეტა ჯობია. გლახის გოგოს შეუყვარდება გლახის ბიჭი; შეყვარებულთ ბევრი დაბრკოლება ეღობებათ წინ, მაგრამ ისინი მაინც თავის მიზანს მიაღწევენ, მაგრამ დახეთ უბედურებას? სიმონა კლდეზე გადინება და მოკვდება და დარჩება მართა თავისი პატარა ბიჭისამარა, რომლის შთასახვაც ავტორს დიდის სიყვარულითა აქვს აწერილი! ასეთ სიუჟეტში არაფერი არ არის საყურადღებო, ყოველივე — მართას გაპარვიდან მოკიდებული სიმონას სიკვდილამდე შაბლონურათ არის აწერილი. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ერთი მიზრძანეთ, ვისთვის ან რისთვის არის საჭირო და საყურადღებო, როგორ ებერებოდა დაორსულებულ მართას მუცელი და როგორის მორცხვობით დაჩერებოდა ზედ მართა?

ბ-ნმა ბარნოვმა «მეჩვენა» კარგათ დაიწყო და ცუდათ გაათავა. როდესაც მოთხრობას კითხულობთ, გგონიათ აი აგერ შეეხება ავტორი აი აგერ საჭირობორტო კითხვებსო, მაგრამ ავტორი ერთბაშათ გადადის სიყვარულზე: თეკლესი და უშანგის შეუღლება უბედური ნაბიჯი გამოდგება, იოსების ლოგინს უშანგი დაეპატრონება, იოსებ სანდომიძეც თავს იკლავს, მაგრამ სხვა ავტორები ამგვარ შემთხვევაში თუ რეველვერით ისტუმრებენ საიქიოს თავის გმირებს, ბარნოვი ორიგინალობას იჩენს: მესამე სართულიდან ისტუმრებს მგონი. ოხ, ამ სიყვარულმა მკითხველებს თავი მოაბეზრა, მაგრამ ჩვენ ბელეტრისტებს ჯერ კიდევ არა ბეზრდებათ! უმტკიცეთ მათ, რომ ცხოვრებაში დღეს სხვა რამ უფრო საყურადღებოა ვიდრე სიყვარული, რომ ცხოვრებაში ბევრი რამ დგას სქესობრივ სიყვარულზე მაღლა, რომ ადამიანი მართო სიყვარულით არა ცოცხლობს, მართო სიყვარული არ აინტერესებს მას, — ჩვენი ბელეტრისტები მართო სიყვარულსა და მხოლოდ სიყვარულს ზედავენ გარშემო, მეტს ვერაფერს. მართალია სუსტი ნიქისათვის გათელილი და გაცვეთილი გზით სიარული უფრო ადვილია, ვიდრე ახალი გზის მოპოება, მაგრამ დროა, რომ ჩვენმა ბელეტრისტებმა მიანებოს თავი ცალიერი სიყვარულის ხატვასა და თვალი გაახილოს, თორემ ამავე გზით თუ იარა, სრულებით ჩამორჩება ცხოვრებას.

ბ-ნი ვაჟა-ფშაველას «გველის მკამელი» როგორც თავისი დედა-აზრით ისე სახელოვნო ღირსებით სამაგალითო ნაწარმოებს წარმოადგენს. ბუნების სურათების აღწერაში ავტორის ნიქი ძლიერი, მხატვრული ენა, პოეტურათ დახატული სურათები „გველის მკამელ“-საც არ აკლია, მაგრამ იმის უმთავრეს ღირსებას შეადგენს აზრის სიმარტივე და მასთან სიღრმე. სანამ მინდია მიდევდა მხოლოდ სულის თქმას, ეძებდა ქვეყნიერობაზე ჭეშმარიტებასა და სიყვარულს, მისი სულის სიმშვიდე შეურყეველი იყო, მისი ბედნიერება დაურღვეველი; როდესაც მან თავი დაანება სულის სამსახურს და მის ნაცვლათ დაემორჩილა ხორცის თქმათა, უარჰყო ჭეშმარიტება და სიყვარული და მათ მაგიერ წინ წაიმძღვარა მატერიალური მისწრაფებანი და სრული ეგოიზმი, — მისი სულიერი სიმშვიდე დაირღვა, მისი ბედნიერება სამუდამოთ მოისპო, ბუნებამ დაკარგა მისთვის მნიშვნელობა, მან ბუნებისათვის წინეთ. თუ მას ყვაილებიც კი შეხაროდენ, დღეს ის მართო საკუთარი თავის ამარა და არის დარჩენილი,

ბუნებამ უარჰყო, ხალხისათვის უსარგებლოა და ამგვარი სიცოცხლე მას ტანჯვის მეტს მოუტანს ნამდვილს, — მას გული წყდება წარსულზე, ნატარებს მისს დასახულებას, მაგრამ ამათ: მინდია დაცა სამუდამოთ, დამდაბლდა, რომ აღარასოდეს აღარ აღდგეს, აღარ ამადლოდეს. რამ გამოიწვია ასეთი ძირითადი და მოულოდნელი ცვლილება მინდიას არსებაში? ცოლშვილსა და ოჯახზე ზრუნვამ; მხოლოდ ამ ერთათ ერთ მიზეზს ასახედებს ავტორი, მაგრამ მიზეზი ამგვარი მოვლენისა უკურო რთულია, უფრო ღრმა, ვიდრე მარტო ერთი ოჯახი. რაც უნდა იყოს, ავტორის გადაჭრილი პასუხი ექვს გარემეჰყოფს, რომ მას თანამედროვე ოჯახი მიჩინა ადამიანის იდეალურ მისწრაფებათა ბორკილათ. ეს აზრი სრულ ჭეშმარიტებათ უნდა ჩაითვალოს. თანამედროვე, მონოგამიური ოჯახი გამოიჩევა და თანდათან განვითარდა მხოლოდ მაშინ, როდესაც კერძო საკუთრების იდეა და სიყვარული თვით ცხოვრებამ ააღორძინა და გააძლიერა ადამიანში. რამდენიც უნდა ამტკიცონ, რომ ოჯახი ბურჟია სახელმწიფოსი, საზოგადოების და სხ., ექვს გარეშეა, რომ დღევანდელ ოჯახს სახეში ჰყავს ადამიანი და არა საზოგადოება, ის უფრო ავითარებს ადამიანში ეგოისტურ გრძნობებსა და პირად მატერიალურ მისწრაფებათ, ვიდრე სოციალურსა და იდეალურს; დღევანდელი ოჯახი იმ კლდეს წარმოადგენს, რომელზედაც მიჯაჭვულია ადამიანის მთელი ძალღონე და საშუალო ადამიანი მხოლოდ ოცნებაში თუ განთავისუფლებს თავს და გაცილდება ოჯახის საზღვრებს, ნამდვილათ კი ის სრული მონაა ოჯახის, ოჯახზე და მამასადამე საკუთარ თავზე ზრუნვას ხმარდება მთელი მისი ძალღონე.

თქვენი არ ვიცი მკითხველო და მე კი მწარეთ ძეცინება ხოლმე, როდესაც ვკითხულობ აღფრთოვანებულ პოეზიას ძმობაზე, ერთობაზე, სიყვარულზე და სხვა ამგვარ უშინაარსო მცნებებზე, რომელთა გაშინაარსიანებას ასე ესწრაფვის ადამიანის ოცნება. ერთი მითხარით სად არის ეს ძმობა, ერთობა, სიყვარული და ან განა შესაძლებელია მათი განხორციელება დღევანდელ პირობებში? ყველა ის მცნებანი, რომლებიც საერთოთ შინაარსს შეადგენენ დღევანდელი ცხოვრების იდეალისას, სოციალური მცნებანი არიან, — ინდივიდუალურმა იდეალმა თავისი დრო და ჟამი მოჰპა, მან მიცა ადამიანს ის, რისი მოცემაც შეეძლო, აწინდელი იდეალი კი სოციალურია, მას სახეში ჰყავს საზოგადოება და არა პიროვნება. ადამიანს კი უნდა სოციალური იდეალი განახორციელოს ინდივიდუალური ცხოვრების პირობებში, მთელი მისი ძალღონე თავის თავისათვის ზრუნვას ხმარდება და ამავე დროს კი ის ოცნებობს საზოგადოებრივ იდეალებზე? ორივე ეს ერთათ შეუთანხმებელია; ყოველგვარი დაწესებულება, რომელიც ადამიანში ავითარებს ეგოისტურ გრძნობებს, მართო თავის თავისათვის ზრუნვის აუცილებლობას, ყოველი დაწესებულება, რომელიც წინ ეღობება ადამიანის ძალღონეს და არ უშვებს მას საზოგადოებრივი იდეალებისაკენ, დღეს დროს გადასულ და მავნე დაწესებულებათ უნდა ჩაითვალოს. ასეთ დაწესებულებათა რიცხვს ეკუთვნის დღევანდელი ოჯახიც; ოჯახის არსებული ფორმის მოსპობა იგივე განთავისუფლებაა პიროვნებისა საზოგადოებისათვის. მინდია მაშინ მოწყდა ქვეყნიერობას, მაშინ დაეხურა მას გზა სინათლისა



და ქვეშაობისავენ, როდესაც მან ოჯახი აიკიდა ზურ-
გზე. ადამიანის დანიშნულება, მისი მოვალეობა მინდის
სრულებით სხვანაირათ ვსმის; დღევანდელ ადამიანს თუ
სახეში უმთავრესათ ოჯახი ჰყავს, თუ ის უმთავრესათ
ოჯახისათვის ზრუნავს, მინდის სახეში ჰყავს საზოგადო-
ება, და არა მარტო საზოგადოება. მთელი კაცობრიო-
ბა, მთელი ბუნება: მას უბრალო მინდვის ბალახიც კი
ატყობინებს თავის საქროებას. მინდის მთელი არსება
მოისწრაფის, აქეთ ხელავს ის ქვეშაობისას, მაგრამ
ოჯახში მის მოსწრაფებას ფრთები შეაკვეცა, მინდის მთე-
ლი არსება შებორკა და დღეს ის ოცნებით თუ ისევ და-
კარგული ცხოვრებისა და აღვილებისაკენ მოისწრაფის.
ნამდვილათ საქმით კი ყოველივე იმას უარჰყოფს, რი-
თაც წინეთ ცოცხლობდა. დრმა აზრს ვაჟ-ფშაველას ამ
ხალი ნაწარმოებისას ჩვენ სწორეთ განხილულ იდეაში
ქედავთ, ასეთი იდეა ჩვენ მწერლობაში სრულებით ახა-
ლია. ავტორმა მარტივათ და მასთან მკაფიოთ დაუხატა
თვალწინ მკითხველს ეს იდეა და ამით მიმართა მისი აზ-
როვნება ისეთი კითხვისაკენ, რომლებიც დღევანდელ პი-
რობებში ერთ საქობროტო კითხვათ გადაქცევია გა-
ნათლებულ კაცობრიობას. მინდია რაკი ერთხელ გა-
დაცდა ქვეშაობის გზას, მისი აღდგენა შეუძლებელია,
ის მხოლოთ ოცნებით-ღა უნდა ეკუთვნოდეს თავის იდე-
ალებს, ნამდვილათ კი მონა უნდა იყოს თავისი მატე-
რიალური მოთხოვნილებების; მინდია ამ გვართ და-
მარცხდა, მაგრამ მისი დამარცხება, მისი ტანჯვა, მისი
გლოვა წარაულისა საუკეთესო თავლებია; თუ საით
უფრო მოისწრაფის ადამიანის სული, თუ რამ უნდა გაი-
მარჯოს საბოლოოთ და როგორ უნდა მოეწყოს შემ-
დგეში ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება: ქვეშაობისა,
სამართლიანობა და სიყვარული უნდა დამკვიდრონ, ბო-
ლოსაც იქნება, ცხოვრებაში და საზოგადოებაში უნდა
მოისპოს ყოველივე ის, რაც ცხოვრების ასეთ ტენდენ-
ციას წინ ელობება.

ი. გომაროელი.

(შემდეგი იქნება).

რუსეთი 1901 წელს *).

მედგრათ და გაბეჯულთ შემოდგა ფესი ასაღმა საუკუ-
ნემ რუსეთის ცხოვრებაში, თუძა ვერ ვიტყვით, რომ ჩვენა
იმედები და გულის ნადები აქსრულებიოს, რომელთაც რადც
გაუგებარი, მაგრამ ტებილი, წარმოდგენი „სხვათა შორის გა-
ლებების ცვლასაც უკავშირებს ადამიანის გონება. საანგარი-
ში წელი რუსეთის განვითარების ისტორიაში მხოლოთ გა-
გრძელებას განსული საუკუნის უგანასკნელი ათეულებისა, მაგ-
რამ ზოგი რამ იმ სნის განმავლობაში განვითარებული და
გაზრდილი უფრო თვალსაჩინო შეიქნა, ვიდრე წარმოდგა
საზოგადოების წინ და მოათხოვა ესნის...

და აი, სწორეთ ამ მხრით არის ის საინტერესო.
საზოგადოთ კი, როგორც ვთქვით, ბევრათ არ განირ-
ჩევრდა იგი თავისი წინამოადგილეთაგან, თვით ცხოვრების და
საღსის განვითარებაც ერთხელ არჩეულ გზას, რასაკვირველია,
არ აცილებია და ვერც აცილდებოდა, სოლო უფრო ასაკში
მოსული და მოღონიერებული წარმოაკვიდგა. მართალია, ბევ-
რი ხელის შემშლელი პირობები ელობება ამ გზასე ასაღ ცხოვ-

რებას, მაგრამ მისი სვლა იმდენათ ძველმოსილია, რომ ვე-
რადეც აფერხებს და ყოველივე ის, რაც გუშინ წინ ელობე-
ბოდა და ხელს უშლიდა, დღეს ან მისი ხელის შეწყობის და
მონა-მოხრნილი უნდა შეიქნეს ან გზასე ხამოკიდდეს. მართ-
ლია, ვერ დაუსრულებლია ეს პროცესისი რუსეთში, მაგრამ
მისი აუცილებლობა ყველასთვის თვალსაჩინოა და ყველამის
ცდასა და ზრუნვასა, რომ როგორმე უკეთ შეეკუთას ასაღ პი-
რობებს. რასაკვირველია, აქაც მართლდება ზოგადი განიანი,
რომ ძველი და დროს გადასული თავის დაცვას ცდილობს, იბ-
რძის არსებობისთვის, სშირათ გამარჯვებულად გამოდის
ამ ბრძოლიდან, მაგრამ საზოგადო სურათი და შთაბეჭე-
ლება მხოლოთ ასაღის ძველმოსილებაში გავრძენებს და ამ
იმედით განმსწრებულა უფრო თამაშით შეგვიძლია შეკვირ-
ასლო წარსულის მიმოსილვას.

როგორც სხვაგან, ისე რუსეთშიაც ცხოვრების ერთ
წერტილზე შეჩერება შეუძლებელია, იგი მიდის წინ და ბერ-
ში უფრო გამაღებული ვიდრე ევროპის მოწინავე ქვეყნებში,
მაგრამ ეს იქ, სიცა წინმსვლელობა და განვითარება სტიქიური
და შეუჩერებელია... აი ასეთათ ცხოვრების ზედპირი წერ-
ბილება და ამ პირობებში შეიქნა გამაღებული მსკვლეობა რე-
ფორმების მოხდენის შესახებ. უმთავრესი ურთაღებდა საზოგა-
დოებისა და მწერლობის მიქცეული იყო სწავლ-განათლების
საქმის (საშუალო და უმაღლესი) ძირითადთ შეცვლასე, რომ-
ლის არსებული სისტემა უვარგისათ იქნა ცნობილი მაღლი-
დან და იქიდანვე მოწოდებულ იქნა საზოგადოება ამ საქმეში
დასახმარებლათ. თვით საზოგადოება კი დიდი სნათ ადრე
დაწყებულა კლასისეური სისტემის უვარგისობაში და მე-
ტათ გულ გატენილი თანამედროვე შკოლასე, გარდამეტებული
იმედებით და გატაცებათ შეეკება ამ მოწოდებას და შეძლები-
საძებრ დასმარებაც აღმოეჩინა. არა ნაკლები სიმძვინვრათ შე-
ეკება იგივე საზოგადოება გაზრახულ საუნივერსიტეტო რე-
ფორმას, რომლისგანაც მოელის მოსწავლე ახალგაზდობის
რიგაი პირობებში ჩეყებას, და იმ მიზეზათ აცილებას, რომ-
ძეხინ თითქმის ყოველ წლობით იწვევდენ სტუდენტობის აღელ-
ვებას და მის აუცილებულ შედეგს - ბევრა ასაღგაზდის შეც-
ხიერების ტამიდან განაქვებს.

ორივე ეს ვითარება მართლაც საგულისხმოა საზოგადოე-
ბისთვის და მათი ასე თუ ისე გადაწყვეტა არა უმნიშვნელოა
ძთელი ჩვენა ცხოვრებისთვის, თუძა ის მოლოდინი, და იმე-
დი, რაც რუსის საზოგადოებას აღუძრა ამ მოსაღადნელმა
რეფორმებმა ჩვენ უსაფუძვლოთ და გარდამეტებულთ მიეკ-
ნისა. უმთავრესათ საჭირო იყო უმდაბლესი საფესურიდან და-
წყება ე. ი. სასაღსო შკოლებიდან; მათი დაკავშირება საშუ-
ლო და უმაღლესთან და ყოველთ უწინარეს ამ პირობულაწყე-
ბით სწავლის მტვიცრე ნაადრევე დაყენება. მართალია, ცხოვრ-
ბის ინტენსიური განვითარება ამძულებს რუსეთს საკმაო უფ-
რადგება მთავრობს უმაღლესი სწავლის რიგინათ მოწოდება-
საც, რათა საკმაოთ უვავეს მომზადებული ვარგები სხვა-და-სხვა
დარეში სამოქმედოთ, მაგრამ თვით საღსში ვულტურის შე-
ტანისათვის კი უსთავრესი მნიშვნელობა პირველ დაწყებით
შკოლასა აქვს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ შკოლა რომ-
ცორ ყველა სხვა დაწესებულება, გარკმო პირობებს ემორ-
ხილება და რაც უნდა პროგრამა იქნეს შემოღებული, ცხო-
ვრების მოთხოვნილება დამოხრნილებს მას, ის მხოლოთ იმას
მოგვცემს და მოგვიმზადებს, რასაც ვთხოვთ. მინც, სა-
შუალო რეფორმას, წინ წაწკას გვიბრდებოდა და გვიბრდება და
მიი გასული წლის აქტეში უნდა ჩაიწეროს...

*) ეს წერილი დამზადებული იყო პირველი № სთვის, მაგრამ ვერ მოუთავსეთ და ახლაც შემოკლებული იხვდება.

სსკა შობეულებს მოახდინა ქალაქის დებულების მოსალოდნელმა ცვლილებამ, რომელიც კურკურობით მოსლოთ ნაწილობითი უნდა იქნას. მართლაც, გამოკვეთული აქ გიდე უფრო ნაკლებად, ვიდრე სსკაგან, მაგრამ კვამლი უტანსლოთ არ იქნება და თუ მართლ ის გამართლდა, წასაც შეტერებრ-გან თვითმართველობას უქადოდენ გასულ წელს ე. ი. გაშტაობის წევრთა (ქალაქის თავსაც) ადმინისტრაციის მიერ დანიშნას...

ამავე საანგარიშო წელს შევიდა, უმთავრესათ, ძალში საერობო დაწესებულებათა ზოგადი ცვლილებები, რომელნიც მეტათ ავიწროებენ კრობათა სამოქმედო ასპარეზს. კრობას ხამოკროთა და გადაცა ადმინისტრაციას საღსის გამოკვების საქმე (продовольственное дело), რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რუსეთში, სცა საღსის საგმართ დიდი ნაწილი უოკელ წლობით დამშეულას, მოუსაველობას გამო... მეორე საკრობოელი ცვლილება კრობის ცსოკრებაში შეიტანა საკრობის ფიქსაციამ (განსახდობამ). ამ წესით წლის საკრობ-აღრიცხვა 30% მეტით არ უნდა აღმეტოს წინა წლისას და ამ რიგით მეტათ განსახდობულ ფარგლებში შემდეგ კრობის მოქმედება და მისი განვითარება, რამაც უკვე იხინა თავი გასულ წელს საკრობ-აღრიცხვათა დამტკიცების დროს...

სკეით მოსახერხებელი შიშხილობა მათ უფრო მძიმე ასატანი შეიტანა სოფლისათვის, რომ მჭევრელობა წარმოებაშიც ძლიერი კრობისა იყო და არის გამოუყვებელი, რომელსაც უკრ გიდე არ ებრუნება შირი. ეს კრობისა, რასაკვირველია, მოსოფლიო ბაზრის შირბებით უფრო იყო გამოწვეული; მაგრამ მასეზას გამოანსვა ძალის ცოტა შედეგათა აძლევს იმ შირბომელ საღსს, რომელიც ქალაქში სამეშაოს მოკლებული სოფელს უბრუნდება და ამ სოფლიდან გი რი და სამი იმდენი ქალაქისკენ მომავლა ეფეთება წინ.

სოფლის საღსის დასახმარებლათ მიღებულია ადმინისტრაციის მხრით საკრობო ზომები: სასულემწიფო საზინამ გადოფული, დამშეულთა რჯასს შური დაურთვებათ, ვინც შრომის შემძლეა, იმისთვის გამოიწვება საზოგადო სამეშაოები და ამ გზით უნდა მოუარონ თავი გატირებებს; დიდი იმედი აქვთ საზოგადოებას დახმარებისად... უოკელივე ეს ზომები ნაცდაც რუსეთში და ბეკრი დაუსსნაა შიშხილით სიკვდილისაგან, მაგრამ მსხვერპლი უოკელთვის ბეკრი უოფილა და გისურვებთ ამის აცილება შემდონ დღევანდელმა საქმის მეთაურებმა.

წლის ანგარიშში მოსახსენებელია გაძლიერებულ დტვის წესის რაიონის გაგრცვლებაც, რომლის მნიშვნელობა თავის თავათაც აშკარა და განახრტებას არ საჭიროებს. მოსახსენებელია აგრეთვე ტენსურის შემსუბუქებაზე ადრული ღაზარავი და ის იმედეები, რომელნიც გამოიწვია საზოგადოებაში და შრესსაში ამ გარემოებამ...

როგორც ამ მოკლე ანგარიშიდან დავინახეთ, გასული წლის ნამოღვაწევი რუსეთში უმთავრესათ ღაზარავით და ნაღაზარაკვით განისახდობება... მაგრამ ამ წლის განსახდობაში ზოგი ისეთი ნიშნები დავინახეთ შიგ ცსოკრების შუაგულში, რომელთა გამოასშვარება მეტათ მეიწიფისა იყო და მითიც გამეოფილი უნდა ვიქნეთ. საზოგადოთ, უოკელი ნაწილი, უოკელი დაწესებულება გადანიშნვა-გადასედეას, სელ-ასელ გაწესრიგებას თსოფლობას; ცსოკრებას გამოფისხლება და მოძრობა დაეტეო; საზოგადოება, რმდენათმე მანც, მონაწილე შეიტანა ამ მოძრობისა და ესეც გარე ნიშანია. ჩვენ არ უნდა შეგვამინოს იმ მოკლენამ, რომ საზოგადოებაში არსე-

ბულა ძალები თავ-თავისკენ ეწვიან ამ ცსოკრებს, რადან მასი საზოგადო დასკვნა და სინტეზი ისევ წინსვლა და უკან დასევა...

სამშობლოს ცაზე.

ცისა რა მოგანსენოთ და წარსულ სამშობაოს ჩვენ თფილისში კი დიდი ამბები იყო. რაც ქალაქში მწყერ-ჩიტებია ყველა გარეთ გამოსულიყვენ და თამაშობდენ სკუბ-სკუბობიას. ამ თამაშობას საახალწლო დავლუი ქვიან და მასთან იგი ტერმომეტრიცა ჩვენი წლოვანების, ვინაიდან ნათლათ გვიჩვენებს, რამდენათ სათნონი ვართ გოზინაყისადმი. ამბობენ, წლოვანდელ ახალწლის დღეს პრაქტიკული მნიშვნელობაა ქონდა ჩვენი ქალებისთვის. მათ გადაუწყვეტიათ დღეიდან ითამაშონ ფხებე გაკრულებმა, ვინაიდან კარგათ დაინახეს, თუ როგორ დავლურს უვლიდა თვით თფილისი...

ეს იმათი საქმეა, მაგრამ მეც ჩემი მოვალეობა არ მინდა დავივიწყო და გადავცე მკითხველებს ზოგიერთი რამ, რაც ამოვიკითხე პოლიციის ოქმებში, ახალ ამბებში, ვნახე ყურითა და ვისმინე თვალით.

«გარადავოი ბლიახა № 100,000: ვიპოვე ტილიბუტურას ბუფეტში არყის ბოთლი, რომელშიაც აღმოჩნდა ნახევარი კაკარა, მთელი ცხვირი და „ვიზიტნი კარტა“ წარწერით: „პოტრ პეტროვიჩი“. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, ეს საკუთრებანი ეკუთვნის ზემონსენებულ გვამს, რომელიც დიდ წარჩინებაში და წარმატებაშია, ვინაიდან ყოველ დღე იგზავნება ტილიბუტურას ბუფეტში, როდესაც უფროსი მოიკითხავს ხოლმე მის სახლობას.

ჯარჩივა № 5000. საღამოს 6 საათზე, ყურაცქვიტეს ქუჩაზე № 35 სახლის პოდვლთან აყუდებულიყო რალაც ადამიანის მსგავსი. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, ეს არსება ჩემივე აზრდილი გამოდგა.

გურტანი № 1300. ღვთის გულისათვის მითხარით, ვის ეკუთვნის ეს გვამი. ამკიდეს კუკიაში, მიმაქეს—კი არ ვიცი საით. როგორც ხედავთ, თვითონაც არ კადრულობს ლაპარაკს, ვინაიდან «ვერსალის» სასტუმროში ელენთა ამოაცალეს.

გაზ. 25 წლისა. მოვინელებ ყოველსავე სანოვავეს თუნდ ეს ფაფა «ინანის» მიხარულიც იყოს. ვკისრულობ სოფლები ატანას იაღბუზის მთაზე, რათა ქალაქს ზევიდან მოექცეს და ვაშენებ ჰაერში კოშკებს კ. თუ მანიშვილის ხუროთმოძღვრებით.

— ბაჩიშა დახმნული. გუშინდამ ჩემმა პიპომ სამჯერ დაცალა პისტოლეტი და დაპირდა ქორწილში ზარბაზნებს გავისერიო.

— სიდნადი. გავიგე ახალი წელი მოსულაო, მითხარით ღვთის გულისათვის ჟონჟოლი ხომ არ მოუტანია თან?

ქ. თქლავი. კნიაჟებმა გადაწყვიტეს მომავალ წელს 36 წელი და ვეჩერი გამართონ, ისევ შახ-აბაზის დროჯობდა.

მანსანის დეპო. თავი წინათვე მამაგლიჯეს. ნაპტკვენი კი ამ დღეებში გაიბნა ჰაერში. ძლივს ველირსე იერუსალიმს.

გორის სადგური. დღეს მაგდენი აღარავინ გაყინულა

მესამე კლასის ოთახში, მხოლოდ ათიოდე უსულო შე-
იტანეს ქირისუფლებმა ვაგონებში.

წრ.-კით. გამ. სასოგადოების გამკობა. ბათუმელებს
მესამე მასწავლებლის მოწვევა გადაუწყვეტიათ! ამისთანა
ვლდა უკანასკნელ კრებაზედაც არა გვცემია. ნუ თუ ვე-
ლარ გამოცერთ შევირდებს იქაურ სასწავლებლიდან?
ოხ, რამიშვილო, რამიშვილო, რათა განაგდე უღელი
ჩვენი და რათა განხუთქე აპაური ჩვენი კისრისაგან შენისა.

და სხვა და სხვ. აი, სულ ამისთანა ამბები ამკობენ
ჩვენი სამშობლოს ახალ ცას და ძველ დედამიწას.

რიგოლეტო.

რუსეთის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვა 1902 წ.

ფინანსთა მინისტრის მიერ წარდგენილი ხარჯთ-აღ-
რიცხვიდან ჩანს, რომ მომავალი წლის სახელმწიფო შე-
მოსავალ-გასავალი გამოანგარიშებულია შემდეგი: ჩვეუ-
ლებრივი ხარჯი: გადასასადები სახელმწიფო ვალის ვა-
მა — 286,459,713; სახელმწიფოს უპაღლესი დაწესებულებ-
ბანი — 3,080,667; უწმ. სინოდის უწყება — 27,954,151;
სამინისტროები: საიმპერატორო კარისა — 15,715,243,
გარეშე საქმეთა — 5,867,350, სამხედრო — 322,638,537,
სახლგაო — 98,318,984, ფინანსთა — 335,188,430, მი-
წათ-მოქმედებისა — 43,242,831, შინაგან საქმეთა —
93,187,205, სახალხო განათლებისა — 36,624,312, გზა-
თა — 435,547,758, იუსტიციის — 47,392,598, სა-
ხელმწიფო კონტროლი — 7,638,860, ცხენების მომშე-
ნებელ მთავარ გამგეობის — 2,046,642, იმ შემთხვევისა-
თვის, თუ სურხათმა და საქონლის საკვებმა აიწია —
3,000,000, აღრიცხვაში შეუტანელი ხარჯები: საგანგე-
ბო საქირობისათვის — 12,000,000; სულ ჩვეულებრივი
ხარჯი — 1,775,913,481.

არა ჩვეულებრივი ხარჯი: ციმბირის რკინის გზის
გასაყვანათ — 12,450,203, იმ საქმეების დასახმარებლათ,
რომელთაც ციმბირის გზასთანა აქვთ კავშირი — 3,348,022,
სხვა გზების გასაყვანათ — 149,870,200; იმ კერძო პირ-
თა და დაწესებულებათა დასაჯილდოვებლათ, რომელ-
თაც პროპინაციის უფლება ჩამოერთვათ — 5,000,000,
ამ რიგით არა ჩვეულებრივი ხარჯი — 170,657,495 სულ
ხარჯი — 1,946,571,946.

ჩვეულებრივი შემოსავალი: პირდაპირი გადასახადი —
130,493,826, ბაჟი — 387,127,600, საზღვარ-გარეთი-
დან შემოტანილ საქონლის ბაჟი 91,999,061, მთავ-
რობის რეგალიები — 521,724,000, ხაზინის ქონებანი და
თანხანი — 508,414,998, სახელმწიფო მამულების გაცე-
მა — 767,902, გლეხთა გამოსასყიდელი გადასახადები —
86,431,000, სახელმწიფო ხაზინის ხარჯის ანაზღაურე-
ბა — 67,529,847, სხვა-და-სხვა შემოსავალი — 6,296,158,
სულ ჩვეულებრივი შემოსავალი — 1,800,784,482, ჩვეუ-
ლებრივი რესურსები: სახელმწიფო ბანკში შენახული
თანხა საპუდამოთ — 1,800,000; სახელმწიფო ხაზი-
ნის თავისუფალ ფულიდან — 143,987,494, სულ —
1,946,571,976.

ჩვეულებრივი შემოსავალი ჩვეულებრივ ხარჯს აღე-
მატება — 24,871,001 მ.-ით, და საფინანსო წელიწადი
ისევე უღვევიტოთ სრულდება, როგორც წინა წლებში,
მიუხედავად წარმოებაში გამეფებული კრიზისა და შიდა

გუბერნიებში საგრძნობელი მოუსავლობისა. პირიქით, მო-
სალოდნელია, რომ მომავალ წელსაც შემოსავალი ბევ-
რათ გადააქარბებს გასავლს, როგორც ეს დაინტენსიონი
სეთის ბიუჯეტს უკანასკნელი ათი-თუთმეტი წლის განმავლობაში და სიდანაც შედგა სახელმწიფო ხაზინის თავისუფალი ფული. რასაკვირველია, ბიუჯეტის ასე კეთილათ შესრულება ერთი მხრით რუსეთის ქონების ზრდით აიხსნება, რაც მაჩვენებელია მისი მეურნეობის უფრო და უფრო კაპიტალისტურის ხასიათის მიღებისა...

წერილი რედაქციის მიმართ *).

ქ-ნო რედაქტორო! რადგანაც „კვადის“ რედაქციამ დი-
დი უყრადღობა და ადგილი დაუთმო ამ დეკემბრის 10-ის და
17-ის ბათუმის საბჭოს სხდომებს, განსაკუთრებით იმ კით-
ხვას, რომელზეც შეხუბოდა ჩვენის საქალბო განაწილის სას-
ლის ასაშენებელ ადგილის ამოჩვენება; — ამისთვის უმორჩილე-
სათ ვთხოვ, ამავე რედაქციას დამასტამბოს „კვადის“ უმხ-
ლბულეს ნომერში ეს ჩემი წერილი, რომელსაც ანაქეს მი-
ზნათ ვისმესთან გამოდავება; ის სსკა რამ, გარდა იმისა, რომ
გაანოს ჩემს შესუღულობას ამ საგნის შესახებ ის პირნი,
რომელნიც არ დაწერებინ ამ ორ სხდომებს.

აი დაასლოკებით ის, რაც მე ვსთქვი 17 დეკემბერს ბა-
თუმის საბჭოს სხდომაზე ამ საგნის შესახებ:

ეს ოთხი წელიწადია, რაც ჩვენ ვეკებთ ადგილს საქალბო
გომნაზიისთვის სახლის ასაშენებლათ. — თავდა პირველათ,
როდესაც არც ვი მოგვსლოდა გომნაზიის დაარსების ნება-
თვა, ამ მიზნისთვის დაჯასხუკეთ ის სახლი და ადგილი,
სადაც გარგი ხანა მოთავსებულა ოთხ-კლასიანი საქალბო
სასწავლებელი (Мариинское женское училище) სიკვალ-
ვის ქუჩაზე, ერთობ ასლო ბედს იმ ნაწილთან, სადაც, ჩვე-
ნი აზრით, ვობდა აკვეშენების გომნაზიის სახლი. — ხსენე-
ბული ოთხ-კლასიანი საქალბო სასწავლებლის სახლი და ად-
გილი პირველიდანვე, ამ ათი-თორმეტის წლის წინეთ, რო-
დესაც ის არსდებოდა, საქალბო გომნაზიისთვის იყო დანი-
შნული. თვითონ სახლის კედლებიც ვი იმ განხრასკით იუ-
ვენ ასენებდნი, რომ ზედ მეორე და მესამე სართულა ად-
ვილათ აკუბულიყო, თუ ოდესმე გომნაზია გვედისკებოდა...
წელიწადზე მეტი ჭქონდა გამკობას მიწარ-მოწარა ამ საგანზე,
სამასწავლებლო ოქტის მზრუნველ ანოკვისთან, მაგრამ ამ
უკანასკნელმა უარი უთხრა სხენებულ საქალბო სასწავლებლის
გადტანაზე. ამ დროს გომნაზიის განხრის ნება-როგაც მოგვი-
ვიდა და ის მოთავსდა ნაქინაკებ სახლში... ორი-სამი თვას
შემდეგ კსეც დაიწვა და გომნაზია უბინოთ დარჩა... მთელი თვის
განმავლობაში სსკა ბინის ამაოთ მქნის შემდეგ ქალბის გომნა-
ზიამოთავსდა ვაჟების გომნაზიის სახლ შენობაში... მომავალ მა-
ისის შემდეგ ვაჟების გომნაზიის მთავრობა არ იმდევა ქალბე-
ბისთვის ბინის უადგილობისა და მოუსკრსებლობის გამო *).

*) გუშინ მე მქონდა ამის თაობაზე ლაპარაკი ერთ გომნაზიის
მასწავლებელთან, რომლისაგან ვაგივე, რომ ერთს წელიწადს კიდევ
როგორმე შეიძლება მოთავდეს ქალბის გომნაზია ვაჟებისაშიო, მაგ-
რამ ისე ვი. რომ შესავალი კარი ორთავე სქესის ბავშებისათვის ერ-
თი იქნებაო... ეს გარემოება ხომ ხრუღებით ეწინააღმდეგება იმ პირთ
პრინციპს, რომელნიც, სხვათა შორის, იმისთვის იყვნენ წინააღმ-
დეგნი ბაღში გომნაზიის ასენებისა, რომ ქალბის და ვაჟების გომნა-
ზიები ერთობ ასლო იქნებოან ერთი მეორესთანო! ავტორი.

*) ეს წერილი იბეჭდება სრულებით შეუცვლელათ და შეუ-
მოკლებლათ.

საქიროსა შემდეგ გიმნაზიისთვის სასლი რაც შეიძლება მალე და ვინ-მთელ ადგილზე, და თან თუ ისე მოეწეობა საქმი, რომ ცოცხალი მანერ შემოქმედებით ამ საქმეს ქალაქის ვას-სას, — გიდეკ უკეთესი... საბჭოს ქმნდა სახეში რძი ადგი-ლი: ერთი ამაღლების და ვაკევის ქუჩების ვუთხუმი, მეორე კი ალექსანდრეს ბაღში — იმავე ამაღლებისა და სმეკლოვის ქუ-ჩების ვუთხუმი... პირველ ადგილზე გიმნაზიის შენობის აკუ-ბას (10 დეკემბრამდე მანერ) მე არ ვთვლიდი სამედიცინო გა-დაწვევით საბჭოსაგან, რადგანაც ის პირველათ ნასხრები იყო საბჭოში თებერვლის დამლევის და ისეც არა წესისა და რიგისამებრ, რადგანაც ეს ვითხვას არ იყო მოსხრებულნი იმ დღის გასაჩხვე საქმეების სიაში... შემდეგ სსდომისუ მე წა-გიგითხე (რადგანაც საბჭოში რქმის ვითხვას ვერ მოვუხწარი) წინა სსდომის რქმი, სადაც ჩაწერილი იყო ეს ვითხვას, რა-გორც გადაწვევითი... რადგანაც (სსდომის შემდეგ) აწ გან-სკრებულს ქალაქის თავს ასათიანს და მდივანს მესსს ვუთხა-რი, რომ ეს არ უნდა ჩაგუგანათ რქმში მუთქი, იმათ მიზ-სხესეს: «სულ ერთია, სახამ ჩვენ გიმნაზიას ვაშენებდეთ, ვი-დეკ რამდენიმეჯერ ვეჭმებათ საბჭოში მაგასე ბასილი»... ამას ვარდა, ასლათ დასახელებულს ადგილს — ბაღის ვუთხე-ში **), ჩემის აზრით, შეიდეკი უზირატისობა აქვს.

1) № 2-ში შეიძლება დღესვე დაეწეოთ სასლის შენება, რადგან თავისუფალი ადგილია, მაშინ რადგანაც № 1 ში ამ დროებით ასლათ გადაკუთებული სადგინიფექციო ვამერა და იმისთვის საჭირო ვატარა ქალაქის შენობები დგანან, რომელ-თა მოშლა და დახვევა, — ვარდა იმისა, რომ თუელი დაუწ-დაბა ქალაქი, — არ შეიძლება. საჩამდე იმათ მაგერ სსვა არ აშენდება ქალაქის ასლ ქსენონში; ხოლო ეს შეიძლება არა უადრეს სამის თვისა, რაგორც სსდომისუდეკ ვადმოვკვცს თავივდომარე და მდივანმა... მე ვი დაწმუნებით მოვასხე-ნებთ, რომ ეს საქმე სეო-ქქის თვეზე ადრე ვერ მოვავრდება, და ამ ხნის განმავლობაში შენობის დაწეება ამ ადგილზე მო-უსხრებელია...

2) ადგილი № 2 მდებარეობს თიბქის ზღვის პირას და უსათუოთ უფრო ვინმერთულია, ვიდრე № 1, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდ თაობისათვის... ამისი წინააღმ-დეკა, მგონი, არავის არა ეთქმის-რა... თუ ასლა № 1-ის ირგვლივ ვატარ-ვატარა სახლები დგანან, ასლო მომავალში შეიძლება იმათ ვატაროსთ რა-რამ სამ-სამ საერთოლანი სას-ლები წამოსკომონ (რასაც სულთ და გულით ვუსურვებ) და მაშინ გიმნაზიის სასლა სამი მსრით შემოხლდეელი იქნება, თავის-უფალი იქნება მარტო ბებუთავის ქუჩის მსრათ, სი-დანაც სამსრეთ დასავლეთის ნიავი მოეტანს მოზარდ თაობას საკმაო მიაზმებს ბათემის ასლა-მასლა კობებთან.

3) ნიუთიერათ სასარგებლოა ქალაქისთვის, ავგის გიმ-ნაზიის შენობა № 2-ში, რადგანაც: ა) შეენახება ადგილი № 1, დირბული 18 ათას მანეთით; ბ) შეენახება 6-დან 10 ათას მანეთამდე, რომელიც საჭიროა, რაგორც ლაზარავობენ, ამ ადგილის მოსახლდეკ სეოიანის ადგილის შესასუიდათ; გ) რაგორც საქმის მტოდნენი მოკასხსენებენ, № 2-ში სასლის აშენება დაჭდება 8 ათას მანეთით ნაკლება, ვინემ № 1-ში. — თემტ ჩვენს ქალაქს ქალაქს ვიბე სქელს ემასიან, მაგრამ 32 - 36 ათას მანეთის ზღვაში ვადგდება რომ შეემლოს, ჩვენ მანერ არა ვაქქს ნება, ეს ჩავადინოთ. ნუ დავივიწყებთ

მასაც, რომ ამ ვიბის ნასეკი უნდა გადასდოს ქალაქში იმ თუელიან, რომელიც დანიშნულია გიმნაზიის სასარგებლოდ და ამის მეორებით, რა თქმა უნდა, გიმნაზიის შენობა გი-მოკა უფრო ნაკლები დირსებისა...

4) გიმნაზიის სასლის აშენებით ბაღი არ წასდება, რა-დგანაც იმ 12 ათას საყენს, რომელსაც ასლა ის შეიგანს, მოაკლდება მსოლოთ 500 - 600 საყენი, და ისეც იმისთანა ადგილას, სადაც არც ერთი დირს შესანიშნავი მტენარე არ არის დარგული, და ის რამოდენიმე უმნიშვნელო ბუჩხარი, რომელიც იქ დღეს არის, ადგილათ შეკვიძლია გადავრტო-იმავე ბაღის სამსრეთ მსარეკე, სადაც ასლა არა რგან რა... რაც შეეება იმას, რაგორც ზოგაერთობი ბრძანებენ, ვითომ ბაღში სასლის აშენებით ხდებოდეს ვიირგვინოსან პირთა სე-ლოთ დარგული მტენარეები, — რც უკთს ამ სეებს და არც რომელიმე ველტურულ მტენარეებს სულს არავინ ასლებს და იმათ არა დაუშავდებათ რა, რადგანაც დანიშნული ადგილი ერთობ შორს არის ამ მტენარეებთან. — შესაწინარებელია სა-ზოგადოთ ერთი აზრი, აქ წარმართქელია, სასლდობრ ის, რომ ქალაქში უნდა ვეცადოთ ასლა ბაღებისა და ბუფავარე-ბის მოშენებას, და არა მას, რომ მოვავლოთ იმას, რც ერ-თსელ მოკვასუნებას და ვაქქსო... ეს აზრი ერთობ სათუძ-ვლიანი იქნებოდა, რომ ის არ ეხებოდეს იმ ნაწილს ქალაქი-სას, სადაც გამოკომილია ვუბერთულია ბუფავარი (იმ ბაღის ზედეკ, ასლას) სიგრძით ვერსზე მეტი და სივანით ალაგ-ალაგ თითქმის ნახევარი ვერსი... თუ მივიღებთ მსედელო-ბაში იმასაც, რომ ჩვენი ბუფავარი უოკულ დღე იხრდება, რა-დგანაც ზღვა თინდათინ იწვევს და თავისუფალ ადგილს ვიძი-ღვის, — ამ ადგილას საბაღო და სასიარლო ცოცხალი რომ მოაკლდეს, ამითი არა დამავდება რა... ბაღები უნდა მოვაშე-ნოთ, მართალია, მაგრამ უიმისოთ მტენარეებით მდიდარ ზღვის პირას ვი არა... იმათი მოშენება საჭიროა ქალაქის მეორე და მეოთხე ნაწილებში, სადაც მტნოვრებით არა აქით ერთი გოკვას სულს მოსაბრუნებელი და სასიარლო თავისუფა-ლი ადგილი...

5) რაც შეეება იმას, რომ ვითომ ადგილი № 1 უფრო დასამსრობათ (შუა გულია) იეოს მტნოვრებთათვის და გიმნა-ზიაში მოსიარული ბავშვებისთვის, ვინემ № 2, — ეს ერთობ საუკლოთ მიმინია, რადგანაც ამ დროებით არც ერთი ამ ად-გილთაგანი შუაგულ ქალაქათ არ ჩათვლება **). მომავალში კი ალექსანდრეს ბაღი და მის ვკურდით მდებარე ნეოი-ლედე რომ შუა-გულ ქალაქში მოსვლებიან, — ეს კი ეტკს ვარქმეა...

იო ეს არის ჩემი მოსახრებება ამ საგნის შესახებ... შე-იძლება, მე ვცდებოდე... დამამტკიცეთ წინააღმდეკი, და მე უარს ვუთხე ჩემ აზრს... მაგრამ, რადგანაც მე ერთი შესე-დულობა მაქვს საქმეზე, შენ კი სსვა, და ამისთვის მივაიყინო: „შენ მტნოვრებთა ინტერესი დაგვიწუდა“, — ეს სწორეთ წრეს ვადასულობათ მიმინია...

სწრელებით არ მესმის, ვის და რათ დასჭირდა მექარა: «თუ ასე არ ვადწევიტეო ეს ვითხვას, ვუბერნატორთან გინი-ვლებთო!». ან რათ შეაწეეს 250 მტნოვრები... ეს ხომ ვლას-ხა ვჭევერდენტია მომავლისათვის! ხომ ადგილათ შესამლე-ბელია შემდეგშიც რომელიმე სავითხის გადაწვევტის დროს საბჭოში სუთასამ მტნოვრებმა შემოიტანოს თსოგნა შემდეკი

*) შესამოკლებლოთ პირველ დასახელებულ ადგილს დაუბრ-ქეთ № 1, ხოლო მეორეს № 2.

**) ორივე ეს ადგილები ქალაქის მესამე ნაწილში მდებარეობენ, ერთ და იმავე ამაღლების ქუჩაზე, და მათ შორის 200 - 250 საყენი მანძილი თუ იქნება, მეტი არა.



უღტიმეტუმით: თუ ეს კითხვა ასე არ გადავიწყობით, გუბერნატორთან გიწავლებთ?

დასასრულ მე უნდა მოგასხენოთ, რომ ჩემს დღეში ჩემი აზრის გადაშეკრული ფანტაზიისა და გუოფიდეჯარ და არცა კარ, და სუფით და გუფით ვულოცავ გამარჯვებას იმ 240—250 მცხოვრებთ, რომელთაც თხოვნა შეუძლია სს. ბტოში 17 დეკემბრის, რადგანაც ასე თუ ისე ეს კითხვა გადაწყვეტის იმით, და ანა „დიდმა ღოდვიამ“ და „საქმის ცოდნამ“, ერთს მხრით, და კათომ ულოდივობამ და უვიცობამ, მეორეს მხრით, — ზოგორც ზოგაერთნი გიუიანებენ.

ხმოსანი გრ ელიავა.

ქ. ბათუმი, 26 დეკემბერი 1901 წ.

ქართული თეატრი.

პირველ იანვარს წარმოადგინეს გუნთის დრამა «დამა». ეს დრამა ბევრჯერ მინახავს სცენაზე და უნდა მოგახსენოთ, სხვა დროს უფრო ნასიამოვნები დავრჩენილვარ, ვიდრე ესა.

გაიოზ ფაღვას როლს თამაშობდა ბ-ნი სვიმონიძე, რომელიც, შედარებით მესხიშვილთან, მეტათ სუსტი იყო.

ვერც ბ-ნმა გამყრელიძემ ვერ დაგვიხატა კოტე ყიფიანისებური ოტია ჯოლია. რაც შეეხება მარინეს, დრამატიული საზოგადოება ალბათ იძულებული იყო ეს როლი ქ-ნ კარგარელისთვის მიეცა. მაგრამ რამ აიძულა დრამატიული საზოგადოება, როდესაც ოტია ჯოლიას როლი წარმოადგენია გამყრელიძეს და არა კოტე ყიფიანს, რომელიც, როგორც ვიცით, ამ ქაშათ თფილისში ცხოვრობს. მართალია, კოტე ყიფიანის მაკიერობას შემდეგში, გარდა გამყრელიძისა, ვერავინ გაგვიწევს, მაგრამ სანამ ყიფიანი ცოცხალია, სანამ მას ძალ-ღონე შეწევს, უმორჩილესათ ვიხივთ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, ნუ მოგვაკლვებს კოტეს შეგნებულ და ნიჭურ თამაშს.

საზოგადოთ პიესამ ძალიან სუსტათ ჩაიარა. გარდა შათირიშვილისა (გიორგი) და ივანძისა (ადამია) არც ერთი არ ვარგოდა. გამგეობის საყურადღებოთ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ მათხოვარი მდიდრული ტანისამოსით არ დაიარება: გაიოზ ფაღვას კი, რომელიც მეორე მოქმედებაში მათხოვრის ტანისამოსით შემოდის თავის და მარინესთან, ეხურა მოსირმული ყაბაღანი და შეენიერი ნაბადი. — სასურველია აგრეთვე, რომ შემდეგში უკეთესი მომღერლები იშოვონ, თორემ სიმღერის მაგივრათ სცენიდან რალაც ჩხვილი ისმოდა.

X

შეცდომის გასწორება.

წერილში „თამარა ქუჩუკაშვილის ხსოვნას“ დაბეჭდილია: მას არ ჰქონდა შეთვისებული ქალის ეშმაკობა და გაიძვერობა. უნდა იყოს: მას არ ჰქონდა შეთვისებული მომწიფებელი ქალის ეშმაკობა და გაიძვერობა.

რედაქტ. — გამომც. ან. თ. წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე რ ი თ ე მ ა

თფილისის კერძო სამკურნალო

მ. ბადეშანიშვილისა

(აუკია, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 247.

ავათმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა ი ა ლ ი თ :

გ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულეზანი, 8—10 საათ მისეილ გუდუკანიშვილი — ნერვებისა და წამლოზა ელეტრონით, 9—10 საათ.

ქ. გ. ფედოროვი — შინაგანი და ბავშებისა, 9—10

გ. გ. მადლაშვილი — შინაგ. სამშ. ღ ხუთშ. 10—11.

ნ. ა. მუღინი — ყურისა, ყელისა და ცხვირისა, 11—12.

ი. ზ. ასალშენიშვილი — კბილის სნეულეზანი, 10—12.

ქქიმი ქალი მ. ს. ბაჭქაძე — ბავშვებისა, 11—12.

დ. ა. გუდუკანიშვილი — ნერვებისა და შინაგ. 12—1.

ა. გ. ბაჩსუკოვი — დედათა სნეულეზანი, ორშაბათით, ოთხშაბათ. და პარასკეობით, 12—1.

ს. ა. კოინო — ქირურგიული, ორშაბათობით, შაბათობით და შაბ. 1—2.

ი. დ. ბუგთაბუგოვი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1 1/2—2.

ს ა ღ ა მ ა თ ი :

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულეზანი, 5—6.

კ ვ ი ა რ ა ბ ი თ :

გ. გ. მადლაშვილი — შინაგან ავათმყოფ., 10—12

სამკურნალოთ აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩეღარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები მოკლებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

გამოვიდა და იყიდება

ქართული კალმის კალენდარი

1902 წლისა.

შედგენილი გ. თაყაიშვილის მიერ.

შ ი ნ ა ა რ ს ი :

კალენდარი მართლ-მადიდებელთა, ქართველ კათოლიკეთა და სომეხთა. სახელმწიფო დღესასწაულები, ისტორიული ცნობები მთავრის ანგარიში, მზის ამოსვლა და ჩასვლა. დამაკვირდები, ნაკვეთები მოსწრებელი სიტყვები, ოჯახში გამოსადეგი ცნობები და მღვდელთათვის სახელმძღვანელო ხმა, კვირიაკე და საცისკრო სახარება.

ფასი 40 კაპ.

ჯივის კალენდარი

შემდგეი შინაარსით:

კალენდარი მართლ-მადიდებელთა, კათოლიკეთა და სომეხთა, სახელმწიფო დღესასწაული, ქართველთა მოწამეთა დღესასწაული, მარხვა ნი, საცისკრო სახარება ხმა და კვირიაკე, სამეფო სახლი, დარ. ავდა რი, მთავრის ანგარიში, ღერბის ქაღალდი, ვექსილების და ღერბის ქაღალდის ფასები, ნოტარიუსის დაფილდოება, ტელეგრაფი, ფოსტა, ოჯახში სასარგებლო ცნობანი, სამეურნეო ცნობანი, საქონლის წამლოზა, უმთავრესი წონა, ზომა და საწყაო, რკინის გზა. საღიბტურათურო ნაწილი: მოსე მწერალი, სიტყვა გაბრიელისა პირუტყვის შეზღუდვაზე, ღექსები სცენები, დამაკვირდი, ნეკროლოგები, განცხადებები და სს.

ფასი კარ აზაზი.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1-Ю ГОДЪ

(Четвертый годъ изданія)

на еженедѣльную газету

П Р А В О

выходящую безъ предварительной цензуры подъ редакціей пр.-доц. В. М. Гессена и Н. П. Лазаревскаго и при ближайшемъ участіи Л. В. Гессена, О. О. Грузенберга, пр.-доц. А. И. Каминка, В. Д. Набокова и проф. Л. И. Петражицкаго, по прежней программѣ.

Годовые подписчики получаютъ въ качествѣ приложеній: Сборникъ рѣшеній кассационныхъ департаментовъ и общаго собранія 1-го и кассационныхъ департаментовъ и кассационныхъ департаментовъ Правительствующаго Сената и „Законодательный Вѣстникъ“, въ которомъ будутъ помѣщены всѣ опубликованныя въ 1902 г. общія узаконенія, подлежащія внесенію въ Сводъ Законовъ, и тѣ указы Пр. Сената и административныя распоряженія, которые представляютъ существенное значеніе для разъясненія смысла законовъ.

Редакція даетъ годовымъ подписчикамъ „Права“ безплатные отвѣты (въ количествѣ не болѣе 3-хъ) на юридическіе вопросы.

Въ „Правѣ“ помѣстили статьи слѣдующія лица:

- К. К. Арсеньевъ, сенаторъ А. Л. Боровиковскій, проф. Берлинскаго ун. В. Г. Борткевичъ пр.-доцентъ Ф. А. Вальтеръ, Г. Л. Верболевскій, М. М. Винаверъ, проф. А. К. Вульфертъ, Л. В. Гаптоверъ, М. П. Гауфманъ, В. Л. Глинка, проф. А. Х. Гельмстедъ, прив.-доц. М. Б. Горенбергъ, Я. К. Городьскій, пр.-доц. Н. В. Давыдовъ, Гр. А. Джаншиевъ, проф. Н. Л. Дювернуа, В. Б. Ельшиевичъ, проф. А. А. Жижиленко, проф. Ф. Ф. Зѣлинскій, проф. Н. А. Ивановскій, сенаторъ А. Ф. Кони, проф. В. Д. Кузьминъ-Баравасевъ, Д. А. Левинъ проф. К. М. Леонтьевъ, Д. Д. Лобановъ, М. А. Лозина-Лозинскій, В. О. Люстихъ, Н. А. Мандельштамъ, прив.-доц. Г. В. Михайловскій, проф. С. А. Муромцевъ, М. П. Мышь, В. А. Мякотинъ, проф. Берлинскаго ун. Dr. Oertlingъ, Ф. И. Осенцій, пр.-доц. М. Я. Пергаментъ, О. Я. Пергаментъ, пр.-доц. А. А. Пилленко, П. А. Потѣхинъ, Н. М. Рабиновичъ, Ф. И. Родичевъ, прив.-доц. Н. Н. Розинъ, М. П. Свѣшниковъ, В. П. Семеновскій, В. Д. Спасовичъ, Сенаторъ Н. С. Таганцевъ, Е. Н. Тарновскій, Н. М. Тютрюмовъ, прив.-доц. В. М. Устиновъ, проф. П. Я. Фойницкій, В. В. Хижииковъ, проф. П. П. Цитовичъ, проф. Н. М. Цытовичъ, прив.-доц. К. В. Шавровъ, прив.-доц. Л. В. Шалаандъ, Г. Шатровъ, проф. Г. Ф. Шершеневичъ, Гр. И. Шрейдеръ, Н. Г. Щегловитовъ и др.

Поставивъ въ числѣ своихъ задачъ ознакомленіе читателей съ существующей судебною и судебно административной практикою, а также разработку этой послѣдней, „Право“ удѣляетъ широкое мѣсто судебнымъ отчетамъ, а также разбору рѣшеній, приговоровъ и административныхъ постановленій, представляющихъ принципиальный интересъ, причемъ, между прочимъ начиная съ осени 1899 г., въ „Правѣ“ помѣщаются немедленно отчеты о всѣхъ дѣлахъ, разсмотрѣнныхъ въ кассационныхъ департаментахъ Правительствующаго Сената.

Подписная цѣна: на годъ съ доставкой и пересылкою 7 руб., на полгода 4 руб. Делъ скается разсрочка: при подпискѣ 4 р и къ 1 мая 3 р. Заграницу на годъ — 10 руб. Отдѣльные номера продаются по 20 к.

Главная контора: С.-Петербургъ. Дмитровскій пер., № 6. 3--1

გამომცემი და იყიდება ლაზარევი და კომპანია ი. კვდო-შენდისა, მეორე შეესებული გამოცემა ავტორის სურათით გ. წ—ს და აზვ. ფასი 2000 რაზში. ვინც ათ ცალსე მკაც გამოაწერს, წიგნი დაეძღვება 25% დაგდებათ. ადრესი: რედაქცია „კვალი“ ტ. იუ. ჯოსიტოვი.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на 1902 годъ

(33-й годъ изданія)

на еженедѣльный иллюстриров.

ЖУРНАЛЪ

со многими приложениями

Гг. подписчики „Нивы“ получаютъ въ теченіе 1902 г.

52 №№

ПЕРВЫЕ

12 ТОМОВЪ

полнаго собрания сочиненій

Н. С. ЛѢскова,

отпечатанныхъ четкимъ шрифтомъ на хорошей бумагѣ, съ портретомъ и биографическимъ очеркомъ, составленнымъ Р. И. Сементковскимъ. Остальные томы сочиненій Лѣсковъ, значительно дополненныхъ приведеніями, не вошедшими въ прежнія изданія или еще вовсе не напечатанными, подписчики получаютъ въ 1903 г. Въ Первые 12 томовъ войдутъ романы: Соборяне. — Обойденные. — Островитяне. — Некуда. Разсказы: Запечатанный ангель. — Однодумъ. — Кадетскій монастырь. — Русскій демократъ въ Польшѣ. — Инженеры-безребренники. — Косой лѣвша. — Очарованный странникъ. — Шерамуръ. — На краю свѣта и мн. друг.

12 ТОМОВЪ

полнаго собрания сочиненій

В. А. Жуковскаго,

расширеннаго формата, въ 2 столб., отпечатанныхъ четкимъ шрифтомъ на хорошей бумагѣ, съ портретомъ и биографическимъ очеркомъ поэта. Въ эти 12 томовъ, которые будутъ изданы подъ редакціею знаюка Жуковскаго, профессора А. С. Архангельскаго, войдутъ лирическія стихотворенія, баллады, помѣсти въ стихахъ, сказки, посланія, мелкія стихотворенія, прозаическія произведенія дневникъ и письма Людмила. — Пѣвецъ во стѣнѣ русскихъ воиновъ. — Овсяный кисель. — Шильонскій узникъ. — Поликратовъ перстень. — Кубокъ. — Спящая царевна. — Война мышей и лягушекъ. — Связка о нагѣ Берендѣй. — Ночной смотръ. — Сельское кладбище. — Орлеанская дѣва. — Уилла. — Наль и Датаянти. — Руслемъ и Зорабъ. — Одиссея и мн. друг., равно какъ и цѣлый рядъ еще неизданныхъ поэтическихъ произведеній знаменитаго писателя.

12 ВНИГЪ „ЕЖЕМѢСЯЧНЫХЪ ЛИТЕРАТУРН. ПРИЛОЖЕНІЙ“, содержащихъ романы, повѣсти, разсказы, популярно научныя и критическія статьи и проч.—современныхъ авторовъ.

12 №№ „ПАРИЖСКИХЪ МОДЪ“, выходящихъ еженеѣдно и содержащихъ о 500 модныхъ гравюръ по фасонамъ лучшихъ мастеровъ.

12 ЛИСТОВЪ рукодѣльныхъ и вышивальныхъ работъ (около 30) и до 30 чертежей выкроекъ въ натуральную величину, выходящихъ ежемѣсячно.

„СТВННОЙ КАЛЕНДАРЬ“ на 1902 годъ, отпечатанный красками. Подписная цѣна на годовое изданіе со всѣми приложениями: безъ доставки: 1) въ С.-Петербургѣ — 5 р. 50 к., 2) въ Москвѣ — въ конт. Н. Н. Печковской (Петровск. линіи) 6 р. 25 к., 3) въ Одессѣ въ кн. маг. „Образованіе“ (Ришельевск., № 12) — 6 р. 50 к. Съ доставкой въ С.-Петербургѣ — 6 руб. 50 коп. Съ пересылкою во всѣ мѣстности Россіи 7 р. За границу — 10 руб.

Требованія просятъ адресовать: въ С.-Петербургѣ, въ Главную Контору журнала „Нива“ (А. Ф. Марксу), Малая Морская, д. № 22. 3—1

«ქაჯილის» რედაქციის იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემები:

თამარ დედოფლის სურათი	— 1 მ. 50 კ. (გასაგზ. 50 კ.)
ალბომი «ბუნება სურათებში» ყდიით	— 1 მ. 20 კ. (გას. 40 კ.)
ხუთი ამბავი	15 კ.
პატარა ლორდი	30 "
ჩვენი ძველი გმირები	30 "
თეთრი და ზანგი	15 "
სოლომონ მეფე	10 "
ოცი წლის წინეთ	5 "
ორი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა	10 "
„გმოთხრობანი“ ქალების თარგმანი	40 "
უხუცე ვაზა	5 "
ნელო და პატრაში	10 "